პროლეტარელნო, უფლა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ORGAN CENTRALNOGO и TBILISSKOGO KOMITETOV KP (B) GRUZII и SOVETOV DEPUTATOV TRUDJAŠČIHSJA GRUZINSKOJ SSR

პარასკევი, 5 მარტი, 1948 წ. № 46 (5090). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება კოლმეურნეობებში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
კრემლის კედლებისა და კოშკების რესტავრაცია (1-ლი გვერდი).
ბ. ნ. ჭოლსჭოის დაბადების 120 წლისთავის გამო (1-ლი გვერდი).
მაღალი შეფასების პასუხად (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება (მე-2 გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში (1-ლი გვერდი).
მაღალი შეფასების პასუხად (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
ელიზბარ უბილავა — ოგბუჯელი გმირები (მე-3 გვერდი).
ი. მაისურაძე — შეხსაცალის ფაბრიკებმა უნდა გაუფჯოგონ ოქმ გამოშვებული კოლოფიციის ხარისხი (მე-3 გვერდი).
იოსებ იმედაშვილი — დიმიტრი მაჩხანელი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეკაბრში (მე-4 გვერდი).

შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება კოლმეურნეობებში

სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებაზე, საკოლმეურნეო ბრიგადებისა და რგოლების გაძლიერებაზე. გასულ წელს საქართველოს სს რესპუბლიკამ თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ამას მაგალითად მოწმობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დიდი ჯგუფისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და მათი ორდენებით და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

მოწინავე აგროტექნიკის დანერგვისა და შრომის სწორად მოწყობის საფუძველზე, უხვი მოსავალი მოყავლილია არა მარტო ცალკეულ ნაკვეთებზე, არამედ დიდ ფართობებზეც. მრავალმა კოლმეურნეობამ, ბრიგადამ და რგოლმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა მოსავლიანობის დაწესებული გეგმა და მთავრობის უმაღლესი ჯილდოს ღირსი გახდა. ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ 96 ჰექტარი ფარობის თვითეულ ჰექტარზე 19,4 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა. გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ალიშ თარბამ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 72,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო. მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადრემა დარეჯან ტაკიძემ 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 15.720 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 კილოგრამისა. ბაღლის, ზუგდიდის, მახარაძის, გუდაუთის, გაგრის, აბაშის, ცხაკაიის და წალენჯიხის რაიონების კოლმეურნეობებმა 1947 წელს უზრუნველყვეს სიმინდის მოსავლიანობის დაწესებული გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულება მთელი რაიონის მასშტაბით.

მოწინავე რაიონების, კოლმეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების გაცოცხლება ცხადყოფს, რომ სოფლად დიდი საშუალება მოგვეპოვება მოსავლიანობის მკვეთრად აძაღლებისათვის, მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის. სოფლის პარტიული ორგანიზაციების, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება ყველა ბრიგადასა და რგოლში.

მიუხედავად მრავალი წარმატებისა, საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციის დარგში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. ზოგან ჯერ კიდევ არ არის ადოფფხერილი გადანაბარება შრომის ანაზღაურებაში, რაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდების, მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის. არასაკმო ყურადღება ექცევა გამომშვიდების ნორმების სწორად დადგენას და მათს შეფასებას შრომადღეებად. მაგალითად, მარნეულის რაიონის სოფელ პირველ ქესალოს და სოფელ კაანახრის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში ერთი ჰექტარი სიმინდის გათოხნა შარშან შეფასებული იყო 5 შრომადღედ, ხოლო მეორე ჰექტარ 7 შრომადღედ, როცა ეს უკანასკნელი სამუშაო პირველ თოხნასთან შედარებით უფრო ადვილი. გეგეჭკორის რაიონის ციროვის სახელობის კოლმეურნეობაში ეროვნ ჰექტარი სიმინდის გათოხნა შარშან შეფასებული იყო 5 შრომადღედ, ხოლო მეორე ჰექტარ 7 შრომადღედ, როცა ეს უკანასკნელი სამუშაო პირველ თოხნასთან შედარებით უფრო ადვილი. გეგეჭკორის რაიონის ციროვის სახელობის კოლმეურნეობაში გაანალიზეს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის კუთვნილი დამატებითი საზღაურის გაცემა ზოგიერთი კოლმეურნეობისათვის. ეს გამონაკლისს არ წარმოადგენს. ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციასა და ანაზღაურებაში დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

ახლა კოლმეურნეობებში მიმდინარეობს 1948 წლის საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ნარჯთაღრიცხვების შედგენა, მათი განხილვა და დამტკიცება კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. საჭიროა მთლიანად დაავკმაყოფილოთ საკოლმეურნეო ბრიგადები და რგოლები, არ დავუშვათ ფორმალისტურანირი კოლმეურნის დატოვება ბრიგადისა და რგოლის გარეშე. ამასთან თვითეულ ბრიგადასა და რგოლს სახელმწიფო გეგმის შესაბამისად უნდა მიეცეს წლიური საწარმოო დავალება.

შრომის სწორად მოწყობა იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული ღონისძიებები უზრუნველეყოთ გეგმით დაწესებული დავალების მოლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ამისათვის საჭიროა მემინდვრეობის ბრიგადებს მიეკუთვნოთ მუშები ნაკვეთები თესლბრუნვის მინდვრებში, ხნეულტარი, მუშა პირუტყვი, აღმოფხვრით მემინდვრეობის ბრიგადების შემადგენლობის დენაღობა. ბრიგადებში უნდა გამოიყოს რგოლები მათთვის სამარგლი, ტექნიკური, სამოსტნე კულტურებისა და სათესლე ნაკვეთების, ხოლო, სადაც შესაძლებელია, მარცვლეული კულტურების მისაჩენად.

სოფლად შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება კვლავ რჩება ერთ-ერთ სერიოზულ ამოცანად. საჭიროა ფართო გასაქანი მიეცეს ინდივიდუალურ და წარელჯგუფურ სანარეო სისტემას, გამეფდულად წავფრთხილნ ნაკვეთების მიჩენა რგოლის შიგნით ცალკეული კოლმეურნეებისათვის, რაც ზრდის კოლმეურნეთა პასუხისმგებლობას მოსავლიანობის ვასაღებლებად.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სამეშოთა ნორმების დაზუსტებასა და მათს შრომადღეებად შეფასებასან. კოლმეურნეობებმა უნდა გადასინჯონ ვამომეშვების ნორმები და შრომადღეებად მეშმოთის შეფასება, შრომის უფრო მაღალი ანაზღაურება დაიწესონ უმნიშვნელოვანესი სამუშაოებისათვის და მოახდინონ ანაზღაურების შემცირება მეორეხარისხოვან სამუშაოთა შესრულებისათვის. სამუშაოთა ნორმების დადგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მოწინავეთა მაჩვენებლების მიხედვით.

შრომადღეების უფრო მომჭარნედ და სწორად ხარჯვისათვის საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა რჩევა მისცა კოლმეურნეობებს წლის დამდეგიდან ადგეგმონ შრომადღეების ხარჯვა ცალკე დარგებში და სასოფლო-სამეურნეო ელტურებზე სამეშოოდ. ამ მიზნიდ ბის განხორციელებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. წლის განმავლობაში დასახარჯი შრომადღეებიდან ზუსტად შედგება ყოველმხრივ ხელს შეუწყობს შრომადღის ღირებულების განმტკიცებას, საკოლმეურნეო შრომის დაგეგმვის სამხანდო სიმაღლეზე დაყენებას. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მეტი ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს შრომადღეების სწორად დაგეგმვის საქმეში.

უკვე ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები. 1 მარტისათვის კოლმეურნეობებში საგაზაფხულოდ მოხსენილი იყო 69.317 ჰექტარი. დათესილია 11.944 ჰექტარი, ანუ რესპუბლიკური გეგმის 2,3 პროცენტი. თესვისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები დადგა. დარჩენილი დრო მთლიანად უნდა გამოვიყენოთ სათესლე მასალის სრული კონდიციურობის უზრუნველსაყოფად, ტრაქტორების, მისაბმელი და სხვა ინვენტარის რემონტის უახლოეს დღეებში დასამთავრებლად, საკოლმეურნეო მასობრივი კვალიფიკაციის და მექანიზატორთა კადრების მოსამზადებლად.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაგალიდოთ ბასუხად ალილიერების მეშმაობის ტემპს. ამ კარგად იცის, რომ 1948 წელი სოფლის მეურნეობაში შემდგომი სტალინური ხუთწლეულის შესრულებაში. ამ დღეებში ალტის მაპრის კოლმეურნეებმა, მტს-ებია და საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა წერილით მიმართეს დიდ სტალინს. ალტაელებმა ახალი სერიოზული ვალდებულებანი იკისრეს და სიტყვა მისცეს დიდ ბელადს, რომ კიდევ უფრო გაფფრთოვებენ საგაზაფხულო კეთილ ნათესებს, მოიყვანენ მეტ პურს, ვადამდე შეასრულებენ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ყველა ვალდებულებას.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის შრომელებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ალტაელთა ამ პატრიოტულ მოწოდებას. მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების, შრომის სწორად მოწყობის, კოლმეურნეთა შრომის დამატებით ანაზღაურების კანონის განხორციელებით, სოციალისტური შეჯიბრების ფარგოდ გაშლის საფუძველზე ისინი შეუპოვრად იბრძოლებენ მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოსაყვანად.

თბილისელი მეჯრიკოგაქეების გამარჯვება

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ 1948 წლის იანვრის მეშაობის შედეგთა მიხედვით თბილისს საფეიერო-სატრაკტორო კომბინატის კოლეტივს (დირექტორი თ. გოგოლაძე) სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიენიჭა მესამე პრემია.

ამ გამარჯვების გამო სატრაკტორო კომბინატის კოლეტივის სახელზე მიღებულია მეტროკოტაჯო ალბომი. კოლეტივის სახელზე მიღებულია მეტროკოტაჯთა პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტის მესამე ალბომი.

ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲘ:

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი 1948 წლისათვის

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი 1948 წლისათვის.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია ამ მიზნებისათვის ასიგნებათა გადიდება. 1947 წელს სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში შეადგენდა 14.600 მილიონ მანეთს, 1946 წელს კი—11.593 მილიონ მანეთს. ეროვნიოელი დახმარებისა და პენსიების ხარჯები სათანადოდ გადიდდა 11,5 მილიონ მანეთამდე 8 მილიონ მანეთთან შედარებით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სოციალური დაზღვევის სახსრებით აღდგენილი და მოწყობილია 350-ზე მეტი დასასვენებელი სახლი და სანატორიუმი, მრავალი კლუბი, წითელი კუთხე, სტადიონი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და სასპორტო დაწესებულებანი. შარშან პროფკავშირთა დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში იყო მილიონნახევარზე მეტი მშრომელი, ხოლო პიონერთა ბანაკებში—2.200 ათასი ბავშვი.

სოციალური დაზღვევის 1948 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია 15.671 მილიონი მანეთის რაოდენობით და ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურთა მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას. ეზრდება ერთდროული დახმარებანი და პენსიები, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების, პიონერთა ბანაკების ხარჯები.

პროფკავშირულ ჯანსაღობის კერაში დაისვენებს და იმკურნალებს 1.800 ათასი მუშა-მოსამსახურე, პიონერთა ბანაკებში დაისვენებს სკოლამდელი ასაკის 2.650 ათასი ბავშვი. თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთი დაიხარჯება დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, სტადიონებისა და ტურისტთა ბაზების აღდგენისა, კაპიტალური რემონტისა და მოწყობისათვის.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს ზუსტად დაიცვან საფინანსო დისციპლინა და ეკონომიის რეჟიმი სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრების ხარჯვისას. საჭიროა სისტემატურად მოიწყოს სოციალური დაზღვევის საბჭოების მოსსენებანი მუშათა კრებებსა და აქტივის თათბირებზე, მოიწყოს საანგარიშო გამოფენები საქართველო კულტბმ. (საკვლევ.).

კრემლის კედლებისა და კოშკების რესტავრაცია

მიმდინარე წელს დამთავრდება ისეთი უდიდესი სამშენებლო მოსკოველ კრემლის კედლებისა და კოშკების სარესტავრაციოდ, რომლითაც ერ ჩატარებულა ამ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე.

კრემლის ცხრამეტი კოშკიდან უკვე რესტავრირებულია თითქმისტე — „ვოდოვზვოდნაია", „ბლაგოვეშენსკაია", „სენატსკაია", „ბეკლემიშნეგსკაია", „კოსტანტინო-ელენსკაია" და სხვ. მათი კარვები გადაეხურულია ახალი ფერადი კრამიტით; განახლებულია ბაურნინი და ეზოთრი ქვის არქიტექტურული დეტალები. კოშკებზე კვლავ აღმართულნ ოქროთი მოვარაყებული ლითონის ლავგარდენი და ფლიუგერები.

ჩატარებულია აგრეთვე დიდი სამუშაოები კრემლის კედლების კამაღლურ რემონტზე. რესტავრირებულია ტბილანშისა და პარალეტების თეთრი ქვის სახურავები. შერემონტებულია თეთრი ქვის ზეძირკველი მთელი კედლის გაყოლებით.

კედლებისა და კოშკების რესტავრაცია ხორციელდება ისტორიული მონაცემების ზუსტი შესაბამისობით. თვითეულ ნაგებობას შეძლებისამებრ ეძლევა პირველინელი სახე. „ბეკლემიშნეგსკაია" კოშკზე, მაგალითად, ძველი კრამიტის მოცილებისას აღმოჩნდა ჩაშენებული სათოფურები. ისინი გახსნილ და კოშკმა მიიღო ისეთი სახე, როგორიც უძველეს დროში ჰქონდა.

ბაზაფხულის დადგომისას სარესტავრაციო სამუშაოები, რომლებიც ზამთრის პერიოდში თბილ შენობებში ტარდებოდა, კვლავ მიიღეს ფართო გაქანებას. „ბლაგოვეშენსკაია" და „ბოროვიცკაია" კოშკებზე დამთავრებულია ლითონის ხარაჩოების დადგმა. აქ მიდინარეობს კრავების სახურავების გამოცვლა. ზაფხულში რესტავრირებულ იქნება ყველაზე რთული არქიტექტურული ნაგებობანი — „სპასკისა" და „ნიკოლსკის" კოშკები, მათი შესანიშნავი ალეურული სამკაულებით — „თეთრი ქვის ჩუქურთმებით".

კრემლის „სპასკის" კოშკზე დაცლილა ნადირთა, ფრინველთა, მრავალწახნაგოვანი პირამიდების თეთრი ქვის ფიგურები და სხვა არქიტექტურული დეტალები. ამჟამად მათი ნიმუშების მიხედვით საბჭოების სასახლის შენებლობის სამმართველოს სახელოსნოში მოსკოვის თეთრი ქვისაგან მზადდება საჭირო დეტალები. ისინი დადგმულ იქნება წინანდელ ადგილზე.

„ტროიცკის" კოშკის კრამიტის სახურავი ოდესღაც შეცვლილ იყო რკინის სახურავით. ახლა კოშკის ქარაგეს დამშენებს ამოტვიფრული სპილენძის ფურცლები, რომლებიც თავისი მოხატულობით მოგვაგონებს უძველესს ალაზურებულ კრამიტს. (საკდესი).

Რ. Ნ. ᲭᲝᲚᲡᲭᲝᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 120 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

წელს სრულდება 120 წელი დიდი რუსი მწერლის ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის დაბადებიდან. ამ შესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლ. ნ. ტოლსტოის სახელმწიფო მუზეუმი საკავშირო ალაკ ცენტრალურ კომიტეტთან და საკავშირო კ. პ. (ბ) ტულის საოლქო კომიტეტთან ერთად აპირამად ტოლსტოი მართავს „ტოლსტოისადმი მიძღვნილი მასალების კითხვას". შესაბამ პირველი ლექცია თემაზე „ლენინი ტოლსტოის შესახებ". წაკითხულ იქნება ალ აგრეთვე ლექციები დიდი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი უდიდესი ნაწარმოებების შესახებ. ასეთი „კითხვა" რამდენიმე თვეს გაგრძელდება.

იუბილესთვის მეზეუმი და მისი ფილიალები ვარაუდობენ გახსნან რამდენიმე გამოფენა — „ტოლსტოი სსრ კავშირში", „მოსკოვი ტოლსტოის ცხოვრებასა და შემოქმედებაში", „ტოლსტოი — სამაგზაო მწერალი". მოსკოვში ჩატარდება საიუბილეო სამეცნიერო სესია. (საკდესი).

მაღალი შეფასების პასუხად

თეკალთის (ცხაკაიას რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით მათი კოლმეურნეობის რვა კოლმეურნეს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ყველან საზეიმო განწყობილებაა, ახალი ძალით ჩადგეს სოციალისტური შეჯიბრეზე.

სოციალისტური შრომის გმირები — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. გეგეჩარია, ბრიგადიერი ე. შამათავა, შ. გეგეჩარია, მერგოლერები ბ. გეგეჩია, კ. ჯაჯიჯელავა, ო. გეგოაშია, ი. ალიერკელია, ე. ქვარცხავა მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულნი კისრულობენ წელს მოიყვანონ სიმინდის ბეგრად მეტი ბოსტანელი, ვიდრე შარშან. ნაკისრი ვალდებულების მიხედვით ბ. გეგეჩია 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 1.000 ფუთ სიმინდს, ე. შამათავა—8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტს, დ. ქვარცხავა 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერს. ასეთივე გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს დანარჩენებმაც.

ახალოსფოლის კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის სმი გმირია — მერგოლერები ვ. ბახტაძე, ს. დავითაია და ბრიგადიერი ი. ტყეშეჩავა. მათ ახალი ვალდებულებანი იკისრეს.

— მაღალი შეფასება მიტ ენერგიას მოითხოვს ჩვენგან,—სთქვა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ბახტაძეკ,—ჩემმა რგოლმა წელს გადაწყვეტა დაამეშაოს 10 ჰექტარი ფართობი, ნაცვლად შარშანდელი 7 ჰექტარისა. აქედან, 4 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ 80 ცენტნერ სიმინდს, დანარჩენ ფართობზე კი 50 ცენტნერს.

სილოვან დაკთაა ს. რგოლი წელს შარშანდელზე ერთიორად მეტ ე. ი. 15 ჰექტარ ფართობს დაამეშავებს. მერგოლერმა პირობა დასდო, რომ 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანს 85-მდე ცენტნერ სიმინდს, 4 ჰექტარზე საშუალოდ 85 ცენტნერს, ხოლო დანარჩენის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერს.

ი. ტაკეშეჩავა ბრიგადამ იკისრა წელს სიმინდი დათესოს 34 ჰექტარზე, აქედან 8 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 80 ცენტნერზე მეტი სიმინდი, ხოლო დანარჩენი 26 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე ორჯერ მეტი, ვიდრე ამას ვეგმა ითვალისწინებს.

სოციალისტური შრომის გმირები ენერგიულად მეშმაინენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. ბევრმა მათგანმა მოათავა მინდვრის ნაკვეთების ბირველი ხვნა; ეუბად გაეკეთ ყანებში ნაკელი და შლამი. ვ. ბახტაძეკ უკვე ეიტანა 15 ტონა ნაკელი და 10 ტონა შლამი, ს. დავითაიამ — 55 ტონა. ასევე მეშობენ თეკალთელი ვმრიბიც. ყველანი ერთი აზრით არიან გამსჭვალულნი—1948 წელს მიღიონ შარშანდელზე მეტი მოსავალი.

ბ. ᲑᲘᲚᲔᲜᲘᲢᲘᲜᲘ

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ᲖᲔᲘᲛᲘ ᲤᲝᲗᲘᲗ

სასიხარულო ცნობის მიღებისთანავე, რომ სოფელ ჭალადიდის კოლმეურნეობა „ოქტომბრის" მერგოლერებს სეკი კალსტრატეს-ძე მარეკაშვილსა და თეოფანე ძაკულ-ძე გეკაძისას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ, ჩატარდა ხალხმრავალი მიტინგი. კოლმეურნეობა „ოქტომბრის" თავმჯდომარემ ამხ. ი. ხუციელაკამ დამსწრეთ გააცინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულება.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ, — ამბობს ამხ. ხუციელაკა, — შარშან საშუალოდ 28,66 ცენტნერი სიმინდი მიიღო, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17 ცენტნერისა. ეროვნსამად გადიდდა ლიმოის და სხვ. ილის მოსავალი, ხოლო 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანეთ 73,62 ცენტნერი სიმინდი. ეს კოლმეურნეთა შრომითი მამაცის შედეგია. წელს უკეთ ვმუშაობთ, ვიდრე შარშან. 225 ჰექტარი ფართობიდან, რომელზეც სიმინდი უნდა დათესოთ, უკვე გაწმენდილი და მოხნულია 150 ჰექტარი. გასულ წელს ამ დროისათვის მოხნული იყო მხოლოდ 20 ჰექტარი. მაგრამ მიღწეულთ ორდი ვამაყოფილ დებით. საპატიო ჯილდოს პასუხად კიდევ უფრო გავამლიერებთ მუშაობას, რომ წელს სარეკორდო მოსავალი მოვიყვანოთ.

— სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება კოლმეურნეობიდან ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების უდიდესი ზრუნვის მაგალითია. ეს ბრძოლისა და ბედნიერების მაგალითს წარმოადგენს, — სთქვა მერეკი ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. ვ. ხუციელავამ. მან იკისრა სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 75-80 ცენტნერამდე აიყვანოს.

სტაპანოვეული ბრიგადიერებმა ვ. რიგამაძისა და ვ. ჭოჭუას ვალდებულებაა წელს გეგმასთან შედარებით 30 პროცენტით გაადიდონ სიმინდის მოსავლიანობა.

სოციალისტური შრომის გმირებმა ს. მარუაშვილმა და თ. გეგაძამ უმაღლესი ჯილდოს პასუხად პირობა დადეს, რომ მთელ თავიანთ ენერგიას, გამოცდილებას და ცოდნას მოიმარჯნენ მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

ᲐᲚ. ᲭᲣᲠᲬᲣᲛᲘᲐ

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტის კლენუმი

3 მარტს ალადემიკოს ა. ნ. ნესმეანოვის თავმჯდომარეობით შესდგა მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი.

როგორც ალენუმზე კომიტეტის სწავლულმა მდივანმა პროფესორმა კ. თ. ერგაჩევ ვანაცხადა, მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების მოსაპოვებელ წელს შემოსულ ნაშრომთა რაოდენობა მნიშვნელოვნად სჭარბობს შარშანდელს. სამეცნიერო დაწესებულებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამოუზავნეს 700-მდე სამეცნიერო ნაშრომი, გამოგონება და 1947 წელს სახალხო მეურნეობაში რეალიზებული საწარმოო ბუნებრივ გაუმჯობესებული მეთოდების აღწერილობანი.

ალენუმზე დამტკიცებულ იქნა 12 სექციის შემადგენლობა ცოდნა სხვადასხვა დარგში, რომლებიც ამ დღეებში შეუდგებიან შემოსულ ნაშრომთა წინასწარ განხილვას. სექციებში შეკიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები. თავმჯდომარეებად დამტკიცებულნი არიან აკადემიკოსები: ა. თ. ოიფეკ, ე. ა. ჩუდაკოვი, ა. ნ. ნესმეანოვი, ვ. ა. ობრუჩევი, ლ. ა. ორბელი, ტ. დ. ლისენკო, ა. ი. ალიბეკოსოფი, ვ. ს. ნემჩინოვი, ბ. ნ. ბოსპელოვი, ი. ბ. ტრაინინი, ა. ა. ბოგომოლოვი და საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ა. გოეოროვი.

სექციებმა მეშობა უნდა დაამთავრონ 20 აპრილისათვის. (საკდესი).

СОВИЕТСКИЕ ГРУЗИНСКИЕ ПЕРЕДОВИКИ ПРОИЗВОДСТВА

З. З. ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

საქართველოს კ. პ. (ბ) ბახარაძის რაიონის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი ალების 31,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისა უზრუნველყოფისათვის.

Ა. Მ. ᲨᲐᲥᲘᲐ

საქართველოს კ. პ. (ბ) ᲒᲐᲚᲘᲡ რაიონული კომიტეტის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი ალების 27,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისა უზრუნველყოფისათვის.

Ლ. Ჯ. ᲝᲒᲠᲐᲚᲘᲫᲔ

საქართველოს კ. პ. (ბ) ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიონული კომიტეტის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი ალების 22,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისა უზრუნველყოფისათვის.



Ჩ. Ნ. ᲫᲕᲐᲠᲬᲘᲐᲜᲘᲐ

გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადიერი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 71,90 ცენტნერი სიმინდის მოღებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

(ბაგრაძეებია, დასაწყისი იხილეთ „კომუნისტის“ 2 და 3 მარტის ნომრებში)

ლენინის ორდენით

220. **ჭანტურია** მურმან ოლიფანტესძე — აბაშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 61,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

221. **ჭანტურია** შირიდ სადიკის-ძე — გუდაუთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 87,7 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

222. **ჩაჩავა** ბოდო ვიქტორის-ძე — აბაშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 82,4 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

224. **ჯიდი** მეხრან სიმონის-ძე — აბაშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 74,9 ცენტნერი სიმინდი მიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

225. **ჭელიძე** გრიგოლ სიმონის-ძე — ამბროლაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 60,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

226. **ჭიჭავა** შალვა მიხეილის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურეობა „ახალი კახეთის“ თავმჯდომარე, რომელმაც 72,62 ცენტნერი სიმინდი მიიღო 15 ჰექტარ ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

227. **ჩიქობავა** ვლადიმერ პავლეს-ძე — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 60,6 ცენტნერი სიმინდი მიიღო 4 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

228. **ჩიქოვანი** ივანე იახნის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 76,82 ცენტნერი სიმინდი 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

229. **ჭკადუა** თევდორე ტვირის-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 71 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

230. **ჩოჩია** ალექსანდრე ერმილეს-ძე — აბაშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 81,63 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

231. **ჩოჩია** ვახტანგ იასონის-ძე — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 62,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 7,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

232. **ჩოჩია** შალვა ივანეს-ძე — აბაშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 81,63 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

233. **ჭურჭუმელია** ილარიონ ვასილის-ძე — ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის სასოფლო საბჭოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 81,2 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

234. **შავაძე** შაბან ბარატოლის-ძე — ხულის რაიონის III ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 66 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

235. **შადანი** ხუმუტი ჯაბუტს-ძე — გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 64,85 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

236. **შამათავა** ბუხუტი ნიკოლოზის-ძე — ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 63,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 15,05 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

237. **შამბა** კონცალ აზმეტის-ძე — გუდაუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 63,4 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

238. **შამუგია** ათოლონ პლატონის-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 72,3 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

239. **შამუგია** არტემ ქესკინის-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 73,3 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

240. **შამუგია** კაპიტონ გიგასს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ მერგოლური, რომელმაც 60,06 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

241. **შამუგია** ლეონტი ძოკის-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 93,1 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

242. **შარანგია** თეოდოსია პავლეს ასული — გალის რაიონის კოლმეურნეობა „საბჭოთა აფხაზეთის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 87,52 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

243. **შარია** არსენ ათანასეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმაინი ლიების 27,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

244. **ფეერი** მარიამ იორის ასული — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 63,47 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

245. **ფელია** ერასტი თეოდორეს-ძე — გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 65,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

246. **ფენგელია** დურო ესტატეს-ძე — ზუგდიდის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 75 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

247. **ფენგელია** კენჭი ფარანას-ძე — გალის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 74,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

248. **ფენგელია** ლავრენტი სიღოს-ძე — გალის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 71,01 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

249. **ფონია** ალექსტრატე ყარას-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა, რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 110 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

250. **ფონია** მიხეილ ტაგუს-ძე — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 62,4 ცენტნერი სიმინდი მიიღო 27 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

251. **ფონია** შოთა ისიდორეს-ძე — ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 72,84 ცენტნერი სიმინდი მიიღო 4,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

252. **ფონია** იასონ სტეფანეს-ძე — წალენჯიხის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 64,82 ცენტნერი სიმინდი მიიღო 17 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

253. **ფულეიშვი** შხაზ მაჩაგის-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 71,66 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

254. **ესარტია** ლეონტი იონის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ მერგოლური, რომელმაც 65,36 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

255. **ესარტია** შალვა ბოკოს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი კახეთის“ ბრიგადირი, რომელმაც 72,69 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

256. **იაშვილი** რაფდეს კაკიის-ძე — ამბროლაურის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 60,7 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

ზრდის წითელი დროშის ორდენით

1. **აბაშიძე** იბრაჰიმ იუსუფის-ძე — ბათუმის რაიონის კოლმეურნეობა „კუტლუნის“ მერგოლური, რომელმაც 50,17 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

2. **აბრამაშვილი** ლავრენტი ეფანტესძე — ფოთის რაიონის კოლმეურეობა „ოქტომბრის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 56,1 ცენტნერი სიმინდი 7,24 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

3. **აბსანძე** გვეძე ტაგუს-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურეობა „ახალი კახეთის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 72,62 ცენტნერი სიმინდი 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

4. **აბულაძე** ესტატე სარდიონის-ძე — ქუთაისის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 54,33 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

5. **ავაზაშვილი** არჩილ ივანეს-ძე — ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 52,1 ცენტნერი სიმინდი მიიღო 7,15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

6. **აკიბა** ზაბეტ შაბანის-ძე — გუდაუთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 54 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

7. **ადლეიბა** ჯალუნა კესკინდის-ძე — ოჩამჩირის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 76,82 ცენტნერი სიმინდი 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

8. **აჭუბარია** ილარიონ კონსტანტინეს-ძე — წალენჯიხის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 55,64 ცენტნერი სიმინდი 15,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

9. **აჭუბაია** ბესო კურგოს-ძე — გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 57,7 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,1 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

10. **ალბაიუა** ალმა კონსტანტინეს ასული — გაგრის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 60,44 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

11. **ამბროლაძე** მელტონ იასონის-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ნაპოლეს“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 75,42 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

12. **ამზა ბამეფ-ოღლი** — კაჯრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 54,88 ცენტნერი სიმინდი მიიღო 20,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

13. **ანთიძე** გური მიხეილის-ძე — ჩოხატაურის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული გაგზავნილების გამგე, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო მოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმაინი ლიების 11,4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

14. **ანთია** ცაცა თევდორეს ასული — ქალაქ ფოთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 63,9 ცენტნერი სიმინდი 15,05 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

15. **არახამია** პლატონ ისლამის-ძე — გალის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 98,16 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

16. **არდგენია** შოთა ალექსის-ძე — გუდაუთის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 52,4 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

17. **არძინბა** ბასიათ ისლამის-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 71,66 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

18. **არძინბა** ჯუმუბეგა მუსტაფას-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 71,66 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

19. **არძინბა** მარიამ კეკუნის ასული — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 71,9 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

20. **არდინ** ლევანი იასონის-ძე — ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 56,9 ცენტნერი სიმინდი მიიღო 12,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

21. **ათიეკი** ალი ათა კიში-ოღლი — მარნეულის რაიონის კოლმეურნეობა „რევოლუციის ტალღის“ ბრიგადირი, რომელმაც 55,02 ცენტნერი სიმინდი მიიღო 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

22. **ახალაია** მელიტონ მოსეს-ძე — გულრიფშის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 51,47 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

23. **ახლაიძე** მიხეილ კუეუს-ძე — გალის რაიონის სტალინური კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,68 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

24. **უჩხა** დულაბეი არდაშინის-ძე — გუდაუთის რაიონის ყდაოფის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 56,4 ცენტნერი სიმინდი მიიღო 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

25. **ბალთელია** კალისტრატე ეიბარის-ძე — ზუგდიდის რაიონის გაზეთი „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 73,47 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

26. **ბალათაია** ბეკ ბიქტორის-ძე — ცხაკაიას რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგრონომეს ნიკოლაი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 83,32 ცენტნერი სიმინდი 16 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

27. **ბალათაია** კირილე ოქრომირის-ძე — ცხაკაიას 1-ლი მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ საწინააღმდეგოდ, რომელმაც თავი გამოიჩინა მტს-ში მუშაობისას, რომლის მომსახურების კოლმეურნეობებში მიღებულია 42 ცენტნერი სიმინდი 320,62 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

28. **ბაგბა** კონსტანტინე დიმიტრის-ძე — გუდაუთის რაიონის ეორშოლოგის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 72,25 ცენტნერი სიმინდი 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

29. **ბალიშვილი** ვასილ არტემის-ძე — ცხაკაიას 1-ლი მტს-ის მეტეველი, რომელმაც თავი გამოიჩინა მტს-ში მუშაობისას, რომლის მომსახურების კოლმეურნეობებში მიღებულია 42 ცენტნერი სიმინდი 320,62 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

30. **ბაჯელია** მუჰამედ აბშიდის-ძე — ქობულეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 50,46 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3,02 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

31. **ბაჭარაძე** ამირან ხარას-ძე — გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,3 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

32. **ბაჭრაძე** არჩილ ერმიდლის-ძე — ცხაკაიას რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 64,08 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

33. **ბაკურაძე** რაფდეს ანდრიას-ძე — ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი ნაპოლეს“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,05 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

34. **ბარამიძე** მაძია ნიკოლოზის-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) ლანინსკის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მუშაობით უზრუნველყო ძოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმაინი ლიების 16,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

35. **ბარნაია** ნატალია ალექსის ასული — გუდაუთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,64 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

36. **ბაჩილავა** გაგალი აბრამის-ძე — ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ მერგოლური, რომელმაც 59,8 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

37. **ბეგიშვილი** ლეო ნიკოლოზის-ძე — ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 58,1 ცენტნერი სიმინდი მიიღო 7,35 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

38. **ბენია** მაჰმედ ხიგოს-ძე — გუდაუთის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 72,90 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

39. **ბერიკა** დურუ ალმასხანის-ძე — ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 65,25 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

40. **ბერიკა** ნოკარ ალმასხანის-ძე — ფოთის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიგადაში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 65,25 ცენტნერი სიმინდი 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

41. **ბიგვავა** იასონ ფილიპეს-ძე — გალის რაიონის კოლმეურნეობა „ბეთა ჩხორის“ წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა რგოლში მუშაობისას, რომლის ნაკვეთზეც მიღებულია 70,3 ცენტნერი სიმინდი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

42. **ბილაიევი** გიორგი კონსტანტინეს-ძე — თეფრი წყაროს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც 52,5 ცენტნერი სიმინდი მიიღო 15,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

43. **ბულისკერია** ივლიანე კონსტანტინეს-ძე — საქართველოს კ. პ. (ბ) გუდაუთის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მოლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმაინი ლიების 94,1 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

44. **ბულია** ლეონტი პაპალას-ძე — ზუგდიდის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, რომელმაც თავი გამოიჩინა კოლმეურნეობაში მუშაობისას, სადაც მიღებულია 73,7 ცენტნერი სიმინდი 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

45. **ბულია** თეოფანე ჩანთას-ძე — ზუგდიდის რაიონის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 53,16 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

46. **ბერჩულაძე** ნოე არტემის-ძე — ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მერგოლური, რომელმაც 51,4 ცენტნერი სიმინდი მიიღო 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

47. **ბუშლეაშვილი** იოსებ ლაზარეს-ძე — ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 56,2 ცენტნერი სიმინდი მიიღო 6,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე.

(ბაგრაძეებია შემდეგ ნომერში)

სოციალისტური შრომის გმირები

ბ. ო. დოლია

ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის მტს-ის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 571 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში 45,20 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

დ. ს. ტაკიძე

მახარაძის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 4 ჰექტარი ალფალფაზე თვითეულ ჰექტარზე 18,720 კილოგრამი ჩალა წმენდი ფოთლის მიღებისათვის.



ი. მ. ჟვანია

ცხაკაიას რაიონის თელეთის სახელოვნო სასწავლო ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 78,24 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

ბ. ს. ტოტოლია

აბაშის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 71,8 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.



ბ. ი. ქანდია

ოჩამჩირის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 74,76 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

ხ. ბ. ვანაძე

ხულის რაიონის „წეროვნის ინტერნაციონალის“ სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 71,84 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

პარტიული ცხოვრება

რუსთავის პირველი საქალაქო პარტიული კონფერენცია

შესდგა რუსთავის პირველი საქალაქო პარტიული კონფერენცია. პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ზედგინიძემ.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დიდი მუშაობის შესახებ, რომელიც გასწია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებელთა კოლექტივმა. პარტიის რუსთავის რაიონული კომიტეტის შექმნიდან წელიწადნახევრის განმავლობაში რუსთავის ტრიალ მინდორზე აღიმართნენ მეტალურგიული ქარხნის პირველ საამქროთა კორპუსები, აგებულია ბევრი საცხოვრებელი სახლი, დამხმარე საწარმო; რუსთავის მოსახლეობა იმდენად გადიდდა, რომ მუშათა დაბა გარდაქმნილ იქნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

გასულ წელს მშენებლებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს საკუთარი რესურსების გამოყენების საქმეში, რის შედეგადაც შარშან გამოყენებული საშენი მასალების 55 პროცენტი დამზადდა საკუთარი ძალებით, საკუთარ ფაბრიკებში, კარიერებსა და ხე-ტყის დამამზადებელ მეურნეობებში. მიუხედავად იმისა, რომ შარშან მშენებლობა უზრუნველყოფილი არ იყო ცენტრალიზებული წესით ლითონით, ხე-ტყით, ცემენტით, ოლიფითა და სხვა მასალებით, უმართებულო იქნებოდა გასული წლის საამშენებლო გეგმის შეუსრულებლობის ახსნა ობიექტური მიზეზებით.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებმა წელს იანვარში ამხანაგ სტალინს მიმართეს წერილით, რომელშიც ვალდებულება იკისრეს გამოუშვან ქართული ფოლადი 1948 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო თუჯი მომავალი წლის მესამე კვარტალში, ამასთან ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ თბოელექტროცენტრალი და მთელი რიგი მნიშვნელოვანი მშენებლობანი. ამ ვალდებულებას რუსთაველები ასრულებენ. ახალი წლიდან მშენებლობის ტემპები დღითიდღე იზრდება, რის შედეგადაც გადაჭარბებით შესრულდა იანვრისა და თებერვლის დავალებანი.

მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები მარჯვედ იყენებენ წესდებით მათთვის მინიჭებულ უფლებას—სამეურნეო ორგანიზაციისადმი კონტროლის უფლებას. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ლექციური პროპაგანდის მხრივ. შექმნილია კონსულტანტთა ჯგუფი. კონსულტანტები ეხმარებიან წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. შარშან წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთათვის მოეწყო 292 ლექცია, რომლებიც 17.000-ზე მეტმა კაცმა მოისმინა.

ამასთან მომხსენებელმა აღნიშნა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი კომუნისტების თეორიული სწავლების საქმეში, რეგულარულად არ ტარდება თეორიული საუბრები, სუსტად არის დაყენებული თვალსაჩინო აგიტაცია.

კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ი. სუნდაკოვის ანგარიში.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი.

— მშენებლობაზე ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ ამაღლებულ იქნეს ახალგაზრდა მუშების საწარმოო კვალიფიკაცია,—განაცხადა სიტყვით გამოსულმა ამხ. ჭიჭინაძემ. ასევე ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

მექანიკური ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ყანჩელმა ილაპარაკა მუშათა საწარმოო აღმავლობაზე, მაგრამ კონფერენციას არაფერი უთხრა იმის შესახებ, თუ რატომ უშვებს მექანიკური ქარხანა დეფექტიან პროდუქციას. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ამხ. ოსტროვსკი, რომელმაც გააკრიტიკა მუშათა მომარაგების განყოფილება, სადაც დღემდე არ არის აღკვეთილი პროდუქციის მტაცებლობა, გაფლანგვები და სხვა.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ამხ. გომელაურმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მშენებლობაზე სამუშაოები ძალზე გაფანტულია. ეს ხელს უშლის მშენებლობის დაჩქარებას.

მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის უფროსმა ამხ. ნ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ მშენებლებს წარმატებით შეუძლიათ შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალება და 1948 წელს მისცენ სამშობლოს ფოლადი, ხოლო მომავალ წელს თუჯი. საამისოდ საჭიროა აქედანვე ავამაღლოთ მუშაობის ტემპები, რათა მეორე კვარტალის გაორკეცებული გეგმა ღირსეულად შევასრულოთ.

დელეგატებმა სამართლიანად გააკრიტიკეს მშენებლობის პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. მშენებელთა კლუბი არ მოქმედებს, პროფკომი სუსტად იბრძვის კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებისათვის, ახალგაზრდა მუშების საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობისათვის, ავტოტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მრეწველობის დარგში ამხ. ა. თოფურიძემ, რომელმაც შეაჯამა კონფერენციის მუშაობა.

კონფერენციამ პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დასახული იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი.

• • •

შესდგა ახლად არჩეული საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ქალაქკომის პირველ მდივნად აირჩია გ. პ. ზედგინიძე, მეორე მდივნად გ. ა. ჯობაძე, მესამე მდივნად ი. დ. ვოშნიაკოვი.

ფეხსაცმლის ფაბრიკებმა უნდა გააუმჯობესონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი

ომამდელ პერიოდში საქართველოს ფეხსაცმლის ფაბრიკები ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. 1940 წელს, მაგალითად, იმ ფაბრიკებს, რომლებიც ახლა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში არიან, გეგმით დავალებული ჰქონდათ 2.300.000 წყვილი ფეხსაცმლის გამოშვება, მაგრამ აქედან პროდუქციის თითქმის 50 პროცენტი მარტივად შეკერილი წაღა უნდა ყოფილიყო. ამ სახისა და ასეთი რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად საჭირო არ იყო ფაბრიკებში კონვეიერიზაციის შემოღება, არც დიდი რაოდენობისა და მაღალკვალიფიციური მუშების ყოლა.

მიმდინარე წლის განმავლობაში თბილისის ფეხსაცმლის პირველმა ფაბრიკამ უნდა მოგვცეს ცხელი ვულკანიზაციის მეთოდით დამზადებული 250.000 წყვილი ფართო ასორტიმენტის ფეხსაცმელი. დიდდება პროდუქციის გამოშვება თბილისის ფეხსაცმლის სხვა ფაბრიკებშიც, ქუთაისისა და სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატებში, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკაში. ამ რაოდენობრივ მაჩვენებლებთან და ასორტიმენტის გაფართოებასთან ერთად საჭიროა მივაღწიოთ ფეხსაცმლის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას. ხშირად ჩვენს ფაბრიკებში დამზადებულ ფეხსაცმელს ისეთი დეფექტი აღმოაჩნდება ხოლმე, რომ მომხმარებელს ეკარგება მისი შეძენის ხალისი. არის შემთხვევები უსწორ-მასწორო ნაკერით ფეხსაცმლის ზედაპირის დამახინჯებისა, ცალ ფეხსაცმელს გრძელი ცხვირი აქვს, მეორეს კი მოკლე, ზედაპირის გადაჭიმვისას დატოვებულია ნაოჭები და ა. შ. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია ბავშვის ფეხსაცმლის ხარისხი და ასორტიმენტი.

ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს წელს კიდევ ერთი დიდი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მათ უნდა შესძლონ უფრო რენტაბელურად მუშაობა, პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირება და მასალის ხარჯვის მტკიცე ეკონომიასთან ერთად ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

ტყავისა და ფეხსაცმლის საწარმოთაგან 1947 წელს სახელმწიფოს დაგროვება მისცეს მხოლოდ რამდენიმე საწარმომ—თბილისის პირველმა და ბათუმის ტყავის გადამამუშავებელმა ქარხნებმა, პლასტიკური რეზინის ქარხანამ. დანარჩენმა საწარმოებმა შარშან ვერ იმუშავეს რენტაბელურად, მოგების ნაცვლად ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს. ამავე დროს ამ საწარმოებს ყველა საშუალება აქვთ, რომ წელს უფრო გამართულად იმუშაონ, მიაღწიონ რენტაბელობას.

ტყავეულისა და ფეხსაცმლის საწარმოთა კოლექტივები უნდა დაირაზმონ იმ საწარმოო საკითხთა მოსაწესრიგებლად, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული რენტაბელურ მუშაობასთან. ახლავე უნდა გაჩაღდეს მუშაობა რაციონალიზატორული წინადადებების შესაგროვებლად იმისათვის, რათა მოსახერხებელი გახდეს ტყავეულობისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობის მიღწევა ყველა საამქროში, ყველა ფაბრიკაში. რაციონალიზატორული აზრი უნდა მივმართოთ იქითკენ, რათა ტყავის ქარხნებმა შესძლონ როგორც საზედაპირე, ისე საძირე ტყავეულის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების მომარაგება ნედლეულით არ ფერხდებოდეს, შევქმნათ ყველა პირობა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება გაგვიადვილებს საწარმოთა რენტაბელობის მიღწევას, პროდუქციის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას.

ი. მაისურაძე

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი

დიმიტრი მახანელი

(გარდაცვალებიდან 45 წლისთავის გამო)

მიმდინარე წელს 45 წელი სრულდება, რაც გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი მახანელი.

დ. მახანელი — დიმიტრი მიხეილის-ძე ნადირაძე დაიბადა 1861 წლის 1 იანვარს ქიზიყში, სოფელ მაჩხაანში, გარდაიცვალა 1903 წელს. ერთხანს იგი სოფლის მასწავლებელი იყო და თავდადებით მუშაობდა გლეხობაში სწავლის გასავრცელებლად, ამ მიზნით დ. მახანელმა საკუთარი სახლიც კი დაუთმო ქალთა სასწავლებელს. იმ დროის კვალობაზე სოფელში მას მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რაც მას საშუალებას აძლევდა გლეხკაცობაში წიგნები გაევრცელებინა. დ. მახანელი სწერდა მოთხრობებს, პუბლიცისტურ წერილებს, დრამატიულ ნაწარმოებებს, კორესპონდენციებსა და ლექსებს, რომლებშიც გლეხკაცობის დუხჭირ ცხოვრებას საუცხოო ხალხური ენით ასურათებდა. დ. მახანელი მუდმივი თანამშრომელი იყო ილია ჭავჭავაძის „ივერიისა" (1887-1907 წლები), თანამშრომლობდა აკაკის „კრებულსა" და „ცნობის ფურცელში". მის ნაწარმოებთა უმეტესობა, განსაკუთრებით ორტაეპიანი ლექსები, დიდაქტიურ-აღმზრდელობითი ხასიათისაა.

დ. მახანელის ზოგიერთი ლექსი სასიმღეროდ არის გადაღებული. მაგალითად, კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის მიერ „ტურფავ, მოდი ნუ ხარ მტრულად". ზოგიერთი კი ხალხმა გაასიმღერა. დ. მახანელის პროზაული ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ძმური სიტყვა" (პირველად გაზ. „ივერიაში" იბეჭდებოდა. ამავე რედაქციამ გამოსცა ცალკე წიგნად 1887 წელს, მეორედ გამოიცა 1891 წ.). „სოფლის კუნწულა" („ქართველთა ამხანაგობის" გამოცემა 1892 წელი), აგრეთვე „მოგონება" („ივერია" 1890 წ), მოთხრობა „დღეობა" („ივერია" 1898). დ. მახანელის დიდძალი ხელნაწერი, სხვა წიგნებთან ერთად, ხანძარმა მოსპო.

დ. მახანელი ნაყოფიერად მოღვაწეობდა კოოპერაციის დარგში. სოფელ მაჩხაანში მან პირველმა დააარსა კოოპერატივი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ჩანასახი სამომხმარებლო კოოპერაციისა ჩვენში.

დ. მახანელი ყოველმხრივ საინტერესო ადამიანი იყო. მისი ნაწერები ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, დაწერილი კი ბევრი კარგი რამ აქვს. კარგი იქნება, თუ სახელგამი ან „საბჭოთა მწერალი" გამოსცემს დ. მახანელის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს. ეს დიდად დაეხმარება მკვლევარებსა და მკითხველთ წარსულის მემკვიდრეობის შესწავლასა და ათვისებაში. ეს იქნება აგრეთვე ძეგლი იმ ადამიანის ხსოვნისათვის, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე თავდაუზოგავად ემსახურებოდა ჩვენი ხალხის გონებრივ-ზნეობრივი ამაღლების საქმეს, ეროვნულ გათვითცნობიერებასა და სამშობლოს კეთილდღეობას.

იოსებ იმედაშვილი

დისპუტი მოზარდ მაყურებელთა თეატრის დადგმებზე

ამ დღეებში საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში მოეწყო მწერალთა, კრიტიკოსთა, დრამატურგთა და მაყურებელთა კრება. მოზარდ მაყურებელთა თეატრის უკანასკნელი დადგმების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ერ. ასტვაცატუროვმა.

მოხსენებაში გარჩეულ იქნა თეატრის 5 დადგმა: გ. ნახუცრიშვილის პიესა „პატარა მეომრები", ქ. გოგიაშვილის—„ფარავნელი ჭაბუკი" და „ალუბლები ჰყვავიან", ქ. გოგოძის—„მთის ბიჭები" და მ. ალეგრის—„ზღაპარი სიმართლეზე".

გ. ნახუცრიშვილის პიესაში (დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. თაყაიშვილის) აღებულია კეთილშობილური იდეა: „ტექნიკა ამარცხებს პრიმიტივიზმს". პიესა გამართული ქართული ენით არის დაწერილი. მაგრამ პიესას აქვს მნიშვნელოვანი ნაკლი: არადამაჯერებლად არის მოცემული მთავარი იდეა—ტექნიკის გამარჯვება პრიმიტივიზმზე. ეს ნაკლი აბახათებს სპექტაკლსაც.

კარგი იდეა აქვს აღებული ქ. გოგიაშვილს პიესაში „ფარავნელი ჭაბუკი". პიესაში სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე. პიესის ნაკლი მის მხატვრულ მხარეში მდგომარეობს. იგი ვერ იძლევა იდეის განვითარებას მხატვრული დამაჯერებლობით. რეჟისორმა თ. წეროძემ კეთილსინდისიერად იმუშავა კარგი სპექტაკლის შესაქმნელად. იმავე ავტორის პიესაში „ალუბლები ჰყვავიან" ორი თემაა აღებული. ორივე მათგანი—სამამულო ომის ინვალიდებზე ზრუნვა და თბილისის გამწვანებისათვის ბრძოლა, აქტუალურია. ზოგიერთი ნაკლის მიუხედავად, პიესა დამაჯერებლად არის გაკეთებული. აღსანიშნავია დამდგმელი რეჟისორ ა. მიქელაძის კარგი მუშაობა. სპექტაკლი კარგად მიიღო მაყურებელმა.

დრამატურგმა ქ. გოგოძემ პიესაში „მთის ბიჭები" კავკასიის დაცვის თემა აირჩია. პიესაში ბევრი ხელოვნურად მოგონილი სიტუაციები. პიესის მიხედვით ახალგაზრდები არ უჯერიან მშობლებს, ძალად იგდებენ თავს ხიფათებში. ეს მოზარდ მაყურებლებზე არ სტოვებს დამაჯერებელ შთაბეჭდილებას.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე მ. ალეგრის პიესას „ზღაპარი სიმართლეზე" და აღნიშნა მისი მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებიც პიესის დრამატულ მხარეებს შეეხება. თეატრის თემატიკა ერთფეროვანია. ცხოვრება აღსავსეა მრავალი საინტერესო საკითხებით, რომელთა გადაჭრას მოითხოვს ნორჩი მაყურებელი. მოზარდ მაყურებელთა თეატრს, როგორც ბავშვთა სკოლის გარეშე აღზრდის ერთ-ერთ კარგ საშუალებას, ეს პირველ რიგში მოეთხოვება.

კამათი მოხსენების გამო შესდგება 8 მარტს.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა თებერვლის გეგმა

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობა შეუნელებელი აღმავლობით განაგრძობდა მუშაობას თებერვალში. საქართველოს ქვანახშირის კომბინატის მიერ შეჯამებული ცნობებით თებერვალში ქვანახშირის მოპოვების გეგმა შესრულებულია 104,2 პროცენტით. ასევე წარმატებითაა შესრულებული (104,2 პროცენტით) ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა თვიური დავალება.

ქვანახშირის მოპოვების დარგში ცალკე ტრესტების მიხედვით თებერვალში მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები: ტყიბულქვანახშირის ტრესტმა თებერვლის გეგმა შეასრულა 102,5 პროცენტით. ტრესტში შემავალ ცალკე შახტებს შორის ერთადერთმა ლენინის სახელობის შახტმა ვერ შესძლო თვიური დავალების მთლიანად განაღდება. ამ შახტმა თებერვლის გეგმა მხოლოდ 86,2 პროცენტით შეასრულა. იმავე ტრესტის სტალინის სახელობის შახტმა გეგმა შეასრულა 114,1 პროცენტით, ხოლო გელათის მაღაროშ — 106,9 პროცენტით.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა თებერვლის გეგმა 106,6 პროცენტით განაღდა. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა თებერვლის დავალება 107 პროცენტით შეასრულა, ხოლო ბერიას სახელობის შახტმა — 105,9 პროცენტით.

ახალციხის შახტსამმართველომ თებერვლის გეგმა 107,5 პროცენტით შეასრულა. ამ სამმართველოს პირველმა შახტმა — 112,2 პროცენტით, ხოლო მეორე შახტმა 102,2 პროცენტით.

ძირითად სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გეგმა ტყიბულქვანახშირის ტრესტმა თებერვალში 136,5 პროცენტით გაანაღდა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა 101,2 პროცენტით.

ქვანახშირის დატვირთვის გეგმა კომბინატის მასშტაბით თებერვალში შესრულებულია 114 პროცენტით. ტყიბულქვანახშირის ტრესტმა დატვირთვის თვიური დავალება გაანაღდა 106 პროცენტით, ხოლო ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა — 132 პროცენტით.

ობუჯელი გმირები

ორი ნაბადმოხურული გლეხი თემშარაზე მიდიოდა. ერთს ჩაბალახით ისე ჰქონდა სახე ახვეული, რომ სიცივით შეწითლებული ცხვირი და თვალებიღა უჩანდა. სიარულზე ეტყობოდა ხანში შესული კაცი იყო. ტაატით მიიკვლევდა ახლად დათოვლილ გზას. მეორეს ნაბდის თასმები არც კი ჰქონდა შებნეული. მოკლე სვანური ქუდიც ცალგვერდად შილიფად ეხურა. ამ ტანბრგე ვაჟკაცს არად ჩაეგდო თებერვლის სუსხი; მგზავრები ამინდზე ბჭობდნენ...

— მამაჩემისაგან გამიგონია, — ამბობდა ჩაბალახიანი,—ზამთრის თოვლი შემოდგომის ხვავიაო.

— ეგ კი მართალია, ჩემო სამსონ, მაგრამ მარტო თოვლი საქმეს რომ შველოდეს, ყვირას მთაზე ყველაზე უკეთესი მოსავალი მოვა, შეხედე, მისი მწვერვალი როგორ კიდემდე თოვლითაა გადალესილი, — შესიტყვა თანამგზავრი.

— შენ ვერ გამიგე, ალექსანდრე. როდესაც შრომასა და გარჯას ბუნებაც ხელს მოუმართავს, აი სწორედ მაშინ დაფასდება გლეხკაცის შრომა. მე ამის თქმა მინდოდა.

— მეც ამ აზრისა ვარ, მაგრამ არ არის მართალი, თითქოს მოსავლიანობა მხოლოდ ამინდზე იყოს დამოკიდებული; ხომ გახსოვს, შარშან და შარშანწინ, უამინდობის მიუხედავად, რა კარგი მოსავალი მოვიწიეთ. მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რამდენი შრომა გავწიეთ... დროზე იყო დათესილი, დროულად იყო გათოხნილი, არ დაგვიკლია ტკილი, შლამი, თუ ნაკელწყალი, და სიმინდმაც ფრთა იყარა.

— საშა, ისე მეკამათები, თითქოს გადამთიელი ვიყო და არაფერი მესმოდეს ამ მთისა და ამ ბარისა. პატარაობიდანვე მიწა მიხნავს და მითოხნია, მას შევაბერდი. ობუჯში ქვა არ არის, ჩვენს თოხსა და სახნისს არ გადაებრუნებინოს, საუკეთესო მიწა გვაქვს, მაგრამ ამინდმა თუ გვიღალატა, სირცხვილს ვჭამთ ქვეყნისა და ჩვენი თავწინაშე... სამსონს კიდევ უნდოდა საუბარი გაეგრძელებინა, მაგრამ ვიღაც ცხენოსანი შემოხვდა და განზე გაიხმო. სამსონ სონგულია დიდხანს დააყოვნა უცნობმა, ამიტომ ალექსანდრემ გზა განაგრძო.

ალექსანდრე აბრამიას, როგორც ბრიგადირს, საკოლმეურნეო საქმე გამოულეველი ჰქონდა. განსაკუთრებით დიდი იყო მისი მოვალეობა დღევანდელ კრებაზე. იგი გუშინ და დღეს სულ იმაზე ფიქრობდა, ბელადისადმი გასაგზავნი წერილის განხილვასთან დაკავშირებით რა ვალდებულება ეკისრა. თავის მერგოლურებს ამის შესახებ წინასწარ უნდა მოლაპარაკებოდა. ამიტომ მოიჩქაროდა ალექსანდრე კოლმეურნეთა დღევანდელი თავშესაყარისაკენ. იგივე სურვილი მოაჩქარებდა აქეთკენ მერგოლურ სამსონ სონგულიასაც.

კოლმეურნეობის ბოსლის ეზოში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მიჯრით აშენებულ სასიმინდეებს ქვეშ და მარანთან მრავალი ქალი და კაცი ფუსფუსებდა. ეს ადგილი თავშესაყარად იმიტომ აერჩიათ, რომ ბოსლის გარშემო იყო განლაგებული სამუშაოთა ძირითადი მასივი და მუშახელი არ მოშორდებოდა. აქედან იწყებოდა სქურდილას პატარა ხევი, სადაც საყანე ადგილებს ამზადებდნენ, ტყეს კაფავდნენ, ახოს ჩეხავდნენ; გარდა ამისა, აქ მრავალი საკოლმეურნეო ნაგებობა იყო, სადაც ხალხი თავისუფლად დაეტეოდა.

საღამოვდებოდა. საცაა კრება უნდა დაწყებულიყო, მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე აკაკი ხარჩილავა არ ჩანდა. იგი დილით ადრე პარტიის რაიონულ კომიტეტში გამოეძახათ წალენჯიხაში. შეკრებილნი ცნობისმოყვარეობით გაჰყურებდნენ ჭანისწყლის ნაპირებს, საიდანაც თავმჯდომარე უნდა გამოჩენილიყო. მოთმინებიდან გამოსული მერგოლური მარიამ გიგიბერია მესამედ ეკითხებოდა თავის ბრიგადირს ალექსანდრე აბრამიას — სამი სტახანოვური ნაკვეთით დავკმაყოფილდე თუ კიდევ მოვუმატო, შენ რას მირჩევო.

— ჩემო დაო, ვალდებულება რეალური უნდა იყოს; მთავარი ის კი არ არის რამდენ ჰექტარს დაამუშავებ, მთავარია ჰექტარზე რამდენ ცენტნერ სიმინდს მოიყვან. დღემდე არ შერცხვენილხარ, არც მომავალში უნდა შერცხვე. სამ სტახანოვურ ნაკვეთს თუ შენი მცირე მუშახელით მოერევი, ეს ხუმრობა აღარ არის,—დინჯად მიუგო აბრამიამ. მარიამს ჭკუაში დაუჯდა ბრიგადირის პასუხი, კმაყოფილების ნიშნად თავი დაუკრა და გამორდა.

— ლეონტი, ლეონტი, ერთ წუთს დამიცადე, პატარა საქმე მაქვს შენთან,—მიაძახა მარიამმა თავის ამხანაგ მერგოლურს. მიახლოვებისთანავე მარიამმა ლეონტის სალამის მიუცემლად მკვირცხლად მიაგება:

— შენ რამდენს კისრულობ?

— სამ ჰექტარს.

— მაშ ერთმანეთს შევეჯიბროთ.

— შენთან ძნელია შეჯიბრება, ჩემო მარიამ. რომ გაიმარჯვო, სად გამოვყო თავი, ქალმა აჯობაო, იტყვიან; ხოლო რომ გაჯობო, ესეც დიდ ვაჟკაცობად არ ჩამეთვლება, — ხუმრობის კილოთი მიუგო ლეონტი კილავამ.

— მაშ ასე ფიქრობ?

— ასე გამოდის!

— ამ სიტყვებს შემოდგომაზე მოგაგონებ. მაშინ არ შეგრცხვეს... მარიამს სახე აელეწა. ლეონტის პასუხით უკმაყოფილო დარჩა, მაგრამ ხმა არ გაუცია. მალე კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოჩნდა და კრებაც დაიწყო.

— ჩვენ ბევრი ლაპარაკის დრო არა გვაქვს,—ასე დაიწყო თავისი სიტყვა თავმჯდომარემ,—პრაქტიკულად უნდა შევუდგეთ საქმეს. იწყება გაშლილი შეტევა უხვი მოსავლის მისაღებად. ჩვენი ფრონტი იქნება ჭანისწყლის ველებზე, სქურდილას ხეობაში, ნოჯიხურის მიდამოებსა და ობუჯის ზეგნებში. ჩვენ უნდა ავითვისოთ ეს ნოყიერი მიწები. რადაც უნდა დაგვიჯდეს სიმინდის უხვი მოსავალი უნდა მოვიყვანოთ. ამას მოითხოვს ჩვენგან სამშობლო, დიდი ბელადი. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ამას შევძლებთ.

თავმჯდომარის სიტყვებს კოლმეურნეები მოწონებით შეხვდნენ. მრავალმა მათგანმა კრებაზე სიტყვა სთქვა და ერთმანეთი შეჯიბრებაში გამოიწვია. კოლმეურნეებმა ვალდებულება აიღეს ასცამეტი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიეღოთ ოცი ცენტნერი სიმინდი, ხოლო სტახანოვურ ჰექტარებზე — სამოცდაათი ცენტნერი. ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის ობუჯში გაჩაღდა ბრძოლა.

• • •

ობუჯი წალენჯიხის რაიონის ერთი ულამაზესი სოფელია. განსაკუთრებით მომხიბლავია იგი ზაფხულში, როდესაც ტყიანი მთა-გორები შეიფოთლება და მგალობელი ფრინველები აჟღურტულდებიან, როცა გუგულის ნაცნობი თესე-კაფე მინდვრისაკენ მოუხმობს ადამიანებს. ამ სილამაზეს, ბუნების ამ მომხიბლავობას კიდევ მეტ შნოსა და ლაზათს ჰმატებდნენ გასულ წელს ობუჯის ყანები. ლურჯად იღწეოდა ზღვასავით გადაშლილი ყანა, და მოსავლის ოსტატები დღედაღამ მუშაობდნენ სიმინდის ტყეში.

ჭანისწყლის პირასვე იყო გადაშლილი მარიამ გიგიბერიას ყანა. განთიადისას, შუადღისას თუ შეღამებისას მარიამს აქ ნახავდით. თავს დასტრიალებდა თავის რგოლს, მის სტახანოვურ ჰექტარებს. ზოგჯერ ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ლეონტი კილავას ყანას, რომელიც მახლობელი სერიდან მზერას იტაცებდა. კილავას ყანას როგორც კი თვალს შეავლებდა, უმალვე მოაგონდებოდა ლეონტის სიტყვები—ქალთან შეჯიბრება რა ვაჟკაცობა არისო. მართალია, ყოველივე ეს რამდენიმე თვის წინათ იყო თქმული, მაგრამ გუშინდელ დღესავით ახსოვდა მარიამს ეს სიტყვები და შეჯიბრების ცეცხლით ანთებული თავდაუზოგავად მუშაობდა.

თემშარაზე თუ ლურჯ ბილიკებში მიჰქრიალებდნენ შლამითა და ნაკელით დატვირთული ურმები. განა ცოტა იყო შლამით მდიდარი ღელისპირები ობუჯში. ლაფთარასა, სქურდილასა, ხუფინასა და უჩაღალში ყოველდღიურად რამდენიმე ათეული ურემი იტვირთებოდა შლამით, რომელიც საკოლმეურნეო ყანებისათვის იყო განკუთვნილი. ბოსლის მიდამოები სავსე იყო გადამწვარი ნაკელით. მთელი ეს სასუქი ობუჯელებმა სიმინდის მოსავლიანობის გასადიდებლად გამოიყენეს.

ოსტატმა მერგოლურმა მარიამ გიგიბერიამ თავის ყანებსაც არ დააკლო შლამი და ნაკელის წუნწუხი. მისმა რგოლმა სამჯერ გულდაგულ გათოხნა ყანა და მაჯის სისხო სიმინდები აიშოლტა მიწიდან. ერთმა ძირმა ორსამი ამონაზარდი ამოიყოლა. სარეველის ჭაჯანება აღარსად იყო. მუსრავდნენ ზედმეტ ამონაყრებს, მაგრამ ვერ ერეოდნენ. მარიამმა ერთ დღეს თავისი რგოლის ყველა წევრი ამონაყრის წმენდაზე გადაიყვანა.

კოლმეურნე ქალები დღედაღამეს ასწორებდნენ, ენერგიას არ იშურებდნენ, რათა გაემართლებინათ ბელადისათვის მიცემული პირობა. იმავე დღეს მარიამის რგოლს ეწვია რაიკომის მდივანი. მას მოეწონა რგოლის ნაამაგარი და შრომაში გართულ მარიამს ასე მიმართა:

— რახან ამ ყანებში ამდენი შრომა და ჯაფა ჩაგიქცევიათ, დარწმუნებული ვარ ხელოვნურ დამტვერვასაც არ მოაკლებთ, ეს კი დიდად გაზრდის თქვენს მოსავლიანობას. რაიკომის მდივანს თანაბარი სიხარულით მოელოდნენ ლეონტი კილავას, სამსონ სონგულიას, ვალიკო ქუთელიას, ივანე კაკაჩიას რგოლებში, ყველა ბრიგადასა და ფართობში. ხელგამარჯვე გლეხები იმედიანად უპასუხებდნენ:

— ბელადისადმი მიცემული სიტყვა წმინდაა, მას აუცილებლად შევასრულებთ!

• • •

შემოდგომაზე წვიმიანი ამინდები დაიჭირა ობუჯში. გაძნელდა მოსავლის აღება. ყანებში ნაწვიმარი წყლის ტბორი ჩადგა. ტაროებით დახუნძლული მწიფე ყანა თავმომწონედ იღწეოდა, ადამიანებს მოუხმობდა და ობუჯელებიც დარში თუ ავდარში ყანებში ტრიალებდნენ. სტეხდნენ და გორებად ახვავებდნენ დაშნებივით შეღერებულ ტაროებს. მრავალი ახალი სასიმინდე დადგეს, მაგრამ კოლმეურნეთა ნაამაგარი ვეღარსად ეტეოდა.

გვიან შემოდგომაზე მოთავდა მოსავლის აღება... კოლმეურნეობამ შეაჯამა წლიური მუშაობის შედეგები. ასთექვსმეტი ჰექტარიდან საშუალოდ ოცდაცხრა ცენტნერი სიმინდი, ხოლო სტახანოვური ჰექტარებიდან — სამოცდა ცამეტი ცენტნერი!—ასეთი იყო ობუჯელთა შრომის ჯილდო.

ჭანისწყლის ნაპირებზე ქარი ამღერებდა მაჯის სისხო ჩალის ღეროებს და ეს ვრცელი ნაყანევი მასივი ომგადახდილ ველს გავდა.

მარიამ გიგიბერია თავისი რგოლის კალოსთან გამარჯვებული მეომარივით ამაყად იდგა და მოღიმარი სახით ლეონტი კილავას ეკითხებოდა:

— ა, ლეონტი, ახლაც თუ იტყვი, ქალთან შეჯიბრება რა ვაჟკაცობააო! მარიამის რგოლის სტახანოვურმა ჰექტარებმა ცენტნერნახევრით გადააჭარბა ლეონტის რგოლის მოსავალს.

მერგოლური ლეონტი კილავა, გახარებული თავისი რგოლისა და მეზობელი მერგოლური ქალის წარმატებით, გულწრფელი ალერსით ეუბნებოდა მარიამს:

— ყოჩაღ, მარიამ, ღირსი ხარ ქებისა!

• • •

ობუჯის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში კვლავ იკრიბებოდნენ კოლმეურნენი. სოფელში ელვის სისწრაფით გავრცელებულიყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ. მოზეიმე ხალხი უწყვეტ ნაკადად მიდიოდა თემშარაზე. ხალხის ამ ნაკადს სახეგაბრწყინებული მოჰყვებოდნენ სახელოვანი კოლმეურნეები, უხვი მოსავლის ოსტატები—ბრიგადირი ალექსანდრე აბრამია და მერგოლურები მარიამ გიგიბერია და ლეონტი კილავა.

ზეიმზე მოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები, ობუჯელი გმირები.

ელიზბარ უბილავა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭო შეუდგა სოციალურ საკითხთა კომისიის მეორე სესიის მოხსენების საბოლოო განხილვას. საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც რეკომენდაციას იძლევა, რომ საკითხი ბავშვთა მდგომარეობის შესახებ განხილულ იქნას პირველ რიგში. საბჭომ წინადადება მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს შეისწავლოს ეს საკითხი და საბჭოს შემდეგ სესიას წარუდგინოს მოხსენება ბავშვთა მდგომარეობის სხვადასხვა პრობლემების შესახებ, მათ შორის იმ ბავშვებისა, რომლებიც თავიანთი ქვეყნების გარეთ იმყოფებიან; მაგრამ საბჭომ უარჰყო საბჭოთა წინადადება, რომელიც რეკომენდაციას იძლეოდა დაჩქარდეს ადგილგადანაცვლებული ბავშვების სამშობლოში დაბრუნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სხვადასხვა ქვეყნიდან.

დისკუსიის დროს საბჭოთა წარმომადგენელმა არუთინიანმა აღნიშნა, რომ საბჭოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარდგენილი რეზოლუცია ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საკმარისი არ არის, ვინაიდან ეს რეზოლუცია მხოლოდ წინადადებას იძლევა მოხდეს იმ ადგილგადანაცვლებულ ბავშვთა პრობლემის შემდგომი შესწავლა, რომლებიც ომის შემდეგ ჯერ კიდევ რჩებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სხვადასხვა ქვეყნებში. ამ ბავშვებს, აღნიშნა არუთინიანმა, სურთ არა ვრცელი მოხსენებანი მათი მძიმე მდგომარეობის შესახებ, არამედ სამშობლოში დაბრუნება. ბელორუსიის წარმომადგენელმა კამინსკიმ და პოლონეთის წარმომადგენელმა კაცსუხმ მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სტაინბაუერმა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ფილიპსმა გაიმეორეს ჩვეულებრივი კაზუისტური არგუმენტები და წინადადება წამოაყენეს ეს საკითხი განსახილველად გადაეცეს ლტოლვილების საქმეთა საერთაშორისო ორგანიზაციას. მაშინ საბჭოთა წარმომადგენელმა არუთინიანმა წინადადება წამოაყენა, რომ იმ ქვეყნებს, სადაც ადგილგადანაცვლებული ბავშვები ჯერ კიდევ ელიან რეპატრიაციას, შეეძლოთ კონსულტაცია იქონიონ ამ ორგანიზაციასთან. მაგრამ 9 ხმით (6-მა თავი შეიკავა) საბჭომ უარჰყო საბჭოთა ეს წინადადება. ამის შემდეგ 15 ხმით საბჭომ მოიწონა საბჭოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წამოყენებული რეზოლუცია ბავშვების შესახებ. შემდეგ საბჭომ ასევე ერთხმად მოიწონა რეზოლუცია საბჭოს სოციალურ საკითხთა კომისიისა, რომელიც ბელორუსიის წარმომადგენელ კამინსკის თავმჯდომარეობით მუშაობდა, მოსახლეობის საკითხთა კომისიის მოხსენების გამო, რომელიც წინა დისკუსიის დროს სასტიკად გააკრიტიკა საბჭოთა წარმომადგენელმა არუთინიანმა. რეზოლუცია „მხედველობაში იღებს“ ამ მოხსენებას და რჩევას აძლევს კომისიას განაგრძოს თავისი მუშაობა ამასწინანდელი კრიტიკის გათვალისწინებით.

შემდეგ საბჭო შეუდგა საბჭოს სოციალური კომისიის მიერ წარდგენილ რეზოლუციათა მთელი სერიის განხილვას. ეს რეზოლუციები ეყრდნობა იმ რეკომენდაციებს, რომლებსაც შეიცავს ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიის მეორე სესიის მოხსენება.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირზე ავსტრიის საკითხის გამო

ლონდონი, 3 მარტი. (საკდესი). გუშინ შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა მორიგი სხდომა ავსტრიის საკითხზე.

გრძელდებოდა შემდგომი მუშაობის წესრიგის განხილვა. სსრ კავშირის წარმომადგენელმა კოკტომოვმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მოადგილეთა თათბირმა ხუთი სხდომა მოანდომა საბჭოთა წინადადების გარკვევასა და დაზუსტებას. მაგრამ ჯერ არცერთ დელეგაციას არ გამოუთქვამს თავისი პრინციპული დამოკიდებულება საბჭოთა წინადადებისადმი. კოკტომოვმა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს სთხოვა ჩამოაყალიბონ თავიანთი პოზიცია საბჭოთა წინადადების არსისა და პრინციპების მიმართ.

მაგრამ ამ თათბირზე დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა თავი აარიდეს საბჭოთა წინადადებისადმი თავიანთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

კოკტომოვმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამერიკისა და ინგლისის დელეგაციების მიერ წამოყენებული მეთოდი წინ ვერ წასწევს მოადგილეთა მუშაობას, არამედ, პირიქით, უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება და განხილვის დიდ გაჭიანურებას გამოიწვევს. ასეთი მეთოდი იმის საფრთხეს ჰქმნის, რომ შესათანხმებელი მთავარი საკითხები უამრავი არაარსებითი დეტალებით დაიჩრდილება.

მოადგილეთა შემდეგი სხდომა 3 მარტს შესდგება.

ზოლტან ტილდის გამოსვლა

ბუდაპეშტი, 3 მარტი. (საკდესი). 1 მარტს შესდგა უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის 100 წლისთავის დღესასწაულის მოსამზადებელი საერთო-სახელმწიფოებრივი კომიტეტის სხდომა. სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზოლტან ტილდიმ. მისი სიტყვა, რომლითაც მან უნგრელ ხალხს მიმართა, ტრანსლირებულ იქნა რადიოთი.

„ამ დღესასწაულისათვის მზადება, — სთქვა პრეზიდენტმა, — გვავალებს შევაფასოთ ჩვენი ხალხის მდგომარეობა, შევამოწმოთ მთელი ჩვენი ქვეყნის, უნგრეთის დემოკრატიის მთელი მოქმედება, თუ რამდენად შეეფერება იგი 1848 წლის სულს. ომის მსვლელობაში ჩვენი ქვეყანა დაღუპვისაგან იხსნეს მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფოს ჯარებმა — განმათავისუფლებელმა ჯარებმა. ამ ფაქტმა გამოიწვია არა მარტო ფაშისტების ძალაუფლების მოსპობა, რომლებსაც მონობაში ჰყავდათ მთელი ჩვენი ქვეყანა, არამედ თავისუფალიც გახადა ჩვენი სამშობლო, გაათავისუფლა მანამდე შებოჭილი ხალხის შემოქმედებითი ძალები“.

„როგორ გამოიყენა უნგრელმა ხალხმა მისთვის მინიჭებული თავისუფლება?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას პრეზიდენტმა უწინარეს ყოვლისა აღნიშნა მიწის რეფორმის განხორციელება, მსხვილი საწარმოებისა და ბანკების ნაციონალიზაცია, ხალხის ძალაუფლების განმტკიცება.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინათ გაბატონებული ექსპლოატატორული ფენები ადვილად როდი შეურიგდნენ თავიანთი ძალაუფლებისა და პრივილეგიების დაკარგვას. სხვადასხვა საშუალებით მათ სურდათ მოესპოთ მილიონობით ადამიანთა მიერ მოპოვებული თავისუფლება და კვლავ გამხდარიყვნენ მშრომელთა ბატონებად.

დემოკრატიის ძალებმა არა მარტო მოიგერიეს რეაქციის აშკარა და ფარული იერიშები, არამედ კიდეც მოსპეს რეაქციული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი და მოუსპეს მათ მომავალში წარმატების ყოველი იმედი.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უნგრეთის დემოკრატიამ ისტორიულ წარმატებებს მიაღწია საგარეო პოლიტიკის დარგშიც. ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქვეყნის შიგნით დემოკრატიის წარმატებათა შედეგად.

შემდეგ მან ილაპარაკა იმ უდიდეს კმაყოფილებაზე, რომლითაც უნგრელი ხალხი შეხვდა ბუდაპეშტში იუგოსლავიის მთავრობის დელეგაციის ჩასვლას იუგოსლავიელი ხალხის ბელადის ტიტოს მეთაურობით, აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ჩასვლას პრემიერ-მინისტრ პეტრუ გროზას მეთაურობით. ამ ქვეყნებთან დადებულმა ხელშეკრულებებმა, სთქვა მან, ცხადჰყო, რომ დუნაის აუზში ახალი ეპოქა დაიწყო. ეს ისტორიული პერსპექტივა კიდევ უფრო გაფართოვდა პოლონეთთან და ბულგარეთთან კულტურულ შეთანხმებათა დადებით.

ჩვენი ისტორიის ყველაზე შესანიშნავი, ყველაზე დიდი და ყველაზე სასიხარულო მოვლენა, განაცხადა შემდეგ ტილდიმ, იყო ჩვენი წასვლა მოსკოვს. ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ჩვენ ჯერ კიდევ არასოდეს არ გვიგრძვნია ისე ძლიერ, როგორც მოსკოვში ყოფნის დღეებში, ის ფაქტი, რომ ჩვენ კვლავ ჩავწერთ გადამწყვეტ ფურცლებს ხალხის ისტორიაში. მაგონდება, თუ რა იყო სამი წლის წინათ. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ სულ რაღაც სამი წლის შემდეგ იმ მცირე ხალხის წარმომადგენლებს, რომელიც საბჭოთა კავშირთან ომის მდგომარეობაში იყო და კაცობრიობის თავისუფლების წინააღმდეგ იბრძოდა, ისე მეგობრულად მიიღებდნენ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს დედაქალაქში, როგორც ჩვენ მიგვიღეს, რომ ეს წარმომადგენლები შესძლებდნენ ისეთი ხელშეკრულების დადებას, როგორიც ჩვენ დავდევით.

მოსკოვში ჩვენ ვიხილეთ დიდი ხალხი და გავიცანით დიდი ხალხის დიდი ბელადი. ჩვენ გაგვიტაცა იქ შრომის მტკიცე და ენერგიულმა ტემპმა, მძლავრმა წარმოებამ, რომელიც მშვიდობას და ხალხის კეთილდღეობას ემსახურება, საბჭოთა ადამიანების სერიოზულმა აღფრთოვანებამ, მათმა მაღალმა კულტურულმა დონემ. ჩვენ მოგვხიბლა საუცხოო დაწესებულებებმა, რომლებიც ემსახურება არა პრივილეგიურ ფენების, არამედ მთელი მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლების ინტერესებს, ჩვენ მოგვხიბლა იმ ღრმა, წმინდა და ნამდვილმა ჰუმანიზმმა, რომელიც საბჭოთა ხალხის მთელ ცხოვრებას ახასიათებს.

ჩემს სიცოცხლეში ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პირადმა შეხვედრამ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან და, განსაკუთრებით, გენერალისიმუს სტალინთან. ჩვენზე წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი ეპოქის ყველაზე შესანიშნავი პიროვნების კეთილშობილურმა ადამიანურმა უბრალოებამ, სტალინის ღრმა სიბრძნემ, რომელიც ყოველთვის სწვდება საქმის არსს, მისმა სიმტკიცემ, მისმა პატივისცემამ და კეთილმოსურნეობამ ჩვენი ხალხისა და ყველა ხალხისადმი. ამ კეთილმოსურნეობას გხედავდით საბჭოთა კავშირის ყველა ხელმძღვანელი მოღვაწის მხრივ მოსკოვშიც და კიევშიც.

ჩვენ დავდევით ამ დიდ სახელმწიფოსთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, და თვით ფაქტი ამ ხელშეკრულების დადებისა ღრმა მადლობისა და სიმშვიდის გრძნობას გვინერგავს. ამ გრძნობას კიდევ უფრო აძლიერებს იმაზე ფიქრი, თუ რა მეგობრულ ატმოსფეროში იშვა ეს ხელშეკრულება.

ბუდაპეშტს რომ დავბრუნდით, აღნიშნა შემდეგ ტილდიმ, „სიხარულით ვიხილეთ, რომ უნგრელმა ხალხმა, მთელმა სერიოზულმა დემოკრატიულმა ფენებმა სწორად შეაფასეს ამ ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობა და დიდი სიხარულით მიიღეს იგი. ეს ხელშეკრულება არა მარტო მოწმობს საბჭოთა კავშირის ნდობას უნგრეთის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი, არა მარტო მოწმობს პატივისცემას ჩვენი სამშობლოსა და ხალხისადმი, არამედ ჩვენი მშვიდობის, შემოქმედებითი მუშაობის, თავისუფლებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის საწინდარსაც წარმოადგენს. ამიტომ მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს იგი მადლიერებით და მტკიცე გადაწყვეტილებით—თავის მხრივ განამტკიცოს პირობები ამ ნდობისა, რომელმაც შესაძლებელი გახადა ხელშეკრულების დადება. ჩვენი ხალხი შეასრულებს ხელშეკრულებას, და მაშინ ხალხის საუკეთესო მომავალი უზრუნველყოფილია“.

შეაჯამა რა ყოველივე ნათქვამი, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „უნგრეთის დემოკრატია თავგამოდებით იბრძოდა 1848 წლის ორი ყველაზე დიდი იდეის: ხალხის თავისუფლებისა და ხალხთა შორის ძმობის განსახორციელებლად“.

ალბანეთის პროტესტი ახალი სასაზღვრო პროვოკაციების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 3 მარტი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო იუწყება, რომ ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კაპამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს 23 თებერვალს მიმართა წერილით, რომლითაც ბრალს სდებს საბერძნეთს ახალ სასაზღვრო პროვოკაციებში. მიმართვაში ნათქვამია, რომ 18, 19 და 20 თებერვალს საბერძნეთის თვითმფრინავები დაფრინავდნენ ალბანეთის ტერიტორიაზე. 19 და 20 თებერვალს ბერძენი ჯარისკაცები ტყვიამფრქვევს უშენდნენ ალბანეთის სასაზღვრო საგუშაგოს პერატს, აგრეთვე 40 წუთის განმავლობაში უშენდნენ ალბანეთის ტერიტორიას კონისპოლის სექტორში.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება

პრაღა, 2 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთ, პარტიის ყველა წევრს და პარტიულ აქტივს.

ჩვენი ხალხის სამართლიანმა საქმემ, ნათქვამია ამ მოწოდებაში, გაიმარჯვა. რეაქციის გაერთიანებულმა ძალებმა, რომლებმაც სცადეს შეთქმულების მოწყობის გზით გაეთიშათ ნაციონალური ფრონტი და გამოეწვიათ ჩვენს ქვეყანაში ძმათამკვლელი ომი, რათა ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, სერიოზული დამარცხება განიცადეს. ჩვენმა ხალხმა გამოიცნო ზრახვები რეაქციისა, რომელმაც გადასწყვიტა მოესპო დემოკრატიული წყობილება და აეწიოკებინა ხალხი იმისათვის, რომ მან რეაქციას ბევრი სიმდიდრე და ყოფილი ბატონობა წაართვა.

რეაქციის ცდა უდიდესი ერთსულოვნობით გააცამტვერა ხალხმა, რომელმაც მიაღწია არა მარტო გამცემლების განდევნას მთავრობიდან, არამედ ნაციონალური ფრონტის ახალი მთავრობის—გოტვალდის მთავრობის შექმნასაც.

ამით ლიკვიდირებულია ის საფრთხე, რომელიც ჩვენს სამშობლოს დაემუქრა. ხალხმა დაიცვა სოციალიზმისაკენ მშვიდობიანი დემოკრატიული განვითარების გზა. ახლა შექმნილია ყველა პირობა ნაციონალური ფრონტის მთავრობის პროგრამის შესრულებისათვის. ეს მთავრობა ითვალისწინებს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კანონების მიღებას. ახლა როგორც შინაგანი, ისე საერთაშორისო რეაქციისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩეხოსლოვაკია ძველს აღარ დაუბრუნდება, არამედ გასწევს წინ თავისი სამშობლოს აყვავებისა, ხალხის ბედნიერებისა და სოციალიზმისაკენ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხალხმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა მხოლოდ თავისი ერთიანობის და რესპუბლიკისადმი ერთგულების მეოხებით. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ულოცავს ხალხს დიდ გამარჯვებას და ამასთან ერთად მოუწოდებს ყველა მუშას, გლეხს, ხელოსანსა და ინტელიგენციას კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ნაციონალურ ფრონტში და გამცემლებისა და მესაბოტაჟეებისაგან გასწმინდონ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მთავარი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ დავძაბოთ ხალხის მთელი ძალები, რათა ვადამდე—28 ოქტომბრისათვის, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის 30 წლისთავისათვის შევასრულოთ ორწლიანი გეგმა და მოვახდინოთ მთელი რესურსების მობილიზაცია, რათა უზრუნ- [illegible] ...ლური კომიტეტი ამოცანად ისახავს 2 მილიონამდე აიყვანოს კომუნისტური პარტიის წევრთა რაოდენობა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი 7-დან 15 მარტამდე აცხადებს კომუნისტური პარტიის ახალ წევრთა მიღების კვირეულს. ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ ხალხის უდიდესი უმრავლესობა, რომელმაც გაიცნო კომუნისტური პარტიის ნამდვილი პოლიტიკა, პარლამენტის მომავალ არჩევნებში სრულ ნდობას გამოუცხადებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას.

ჩეხოსლოვაკიის პარლამენტის მომავალი სხდომა

პრაღა, 2 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის საკანონმდებლო ეროვნული კრების პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მოიწვიოს პარლამენტის მორიგი სხდომა 10 მარტს. ამ სხდომაზე პრემიერ-მინისტრი გოტვალდი გააკეთებს განცხადებას ეროვნული ფრონტის ახალი მთავრობის პროგრამის შესახებ. მთავრობა უკვე შეუდგა თავისი პროგრამის შემუშავებას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს პარლამენტს 10 მარტს.

ჩეხოსლოვაკიის სახალხო-სოციალისტურ პარტიას ეწოდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტია

პრაღა, 2 მარტი. (საკდესი). სახალხო-სოციალისტური პარტიის მოქმედების კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე გადაჭრით დაგმო პარტიის ყოფილი ხელმძღვანელობის ანტისოციალისტური პოლიტიკა. პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად, რომ სახალხო-სოციალისტური პარტიის ყოფილი ხელმძღვანელები ზენკლი, რიპკა, დრტინა გარიცხული არიან პარტიის რიგებიდან. გადაწყვეტილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მთავარ ამოცანას შეადგენს საბოლოოდ გაიწმინდოს პარტია ანტიხალხური ელემენტებისაგან. პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება შემდგომში პარტიას ეწოდოს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური პარტია.

ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების კონფერენცია ლონდონში

ლონდონი, 1 მარტი. (საკდესი). ინგლის-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ ლონდონში მოაწყო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 485 დელეგატი ლონდონის 227 სხვადასხვა ორგანიზაციისაგან.

კონფერენცია გახსნა თავმჯდომარემ სტენლი ევანსმა, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირთან უფრო ფართო სავაჭრო შეთანხმების დადების დიდ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარება ხელს შეუწყობს მათი პოლიტიკური ურთიერთგაგების გაუმჯობესებას.

შემდეგ ლეიბორისტული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფის თავმჯდომარემ ბენ პარკინმა რეზოლუცია შეიტანა, რომელშიც ნათქვამია: „კონფერენციის მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ინგლისის წინაშე დღეს მდგომი ორი სერიოზული პრობლემიდან ვერც ერთი, ვერც ეკონომიური აღდგენის პრობლემა და ვერც მშვიდობისა და უმუშევრობის პრობლემა ვერ გადაწყდება, თუ არ იქნება მეგობრობა და ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან. ამიტომ კონფერენციის მონაწილენი ინგლისის მთავრობას მოუწოდებენ მთელი ძალღონე მოახმაროს იმას, რათა უზრუნველყოს სსრ კავშირთან ფართო სავაჭრო შეთანხმების დადება, რომელიც აღნიშნულია 1947 წლის 27 დეკემბრის შეთანხმებაში, და ამრიგად მიღწეული ურთიერთგაგება გამოიყენოს ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობის აღსადგენად და ინგლის-საბჭოთა კავშირის 1942 წლის 26 მაისის ხელშეკრულების განსახორციელებლად“.

პარკინმა განაცხადა, რომ ნამდვილი უშიშროება არ შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირთან მეგობრობის გარეშე. მან აღნიშნა, რომ ინგლისურ პრესაში ამახინჯებენ ფაქტებს საბჭოთა კავშირის შესახებ და რომ ინგლისის პოლიტიკური ლიდერების თითქმის ყველა სიტყვა შეიცავს შეურაცხყოფას საბჭოთა კავშირის მიმართ.

ყველამ, ვინც კი სიტყვით გამოვიდა, მხარი დაუჭირა პარკინის მიერ შეტანილ რეზოლუციას. ორატორები მკვეთრად აკრიტიკებდნენ ინგლისის მთავრობის ახლანდელ ანტისაბჭოთა პოლიტიკას და ჰგმობდნენ მტრულ ანტისაბჭოთა პროპაგანდას, რომელსაც ინგლისის პრესა და რადიო ეწევიან, აგრეთვე საბჭოთა კავშირის შესახებ ფაქტების მოფიქრებულ დამახინჯებას ან მათთვის დუმილით გვერდის ავლას. დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ უთუოდ საჭიროა შეიცვალოს ინგლისის პოლიტიკა და შესწყდეს ეს ღვარძლიანი ანტისაბჭოთა კამპანია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა ბევრი უბრალო მუშა.

პარკინის მიერ შეტანილი რეზოლუცია ერთხმად იქნა მიღებული და მას ყველა დამსწრე ტაშით შეხვდა.

კომუნისტების არჩევა ხელმძღვანელ პოსტებზე ინგლისის პროფკავშირებში

ლონდონი, 3 მარტი. (საკდესი). გაზეთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისის ცენტრალურ საგრაფოთა სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილის პროფკავშირთა წევრები კვლავ ირჩევენ კომუნისტებს პასუხსაგებ პოსტებზე. „ვოკსჰოლ მოტორსის“ ფირმის ლუტონის (ბედფორდშირი) ყველაზე დიდ ქარხანაში, სადაც 11 ათასი მუშა მუშაობს, საამქროთა მამასახლისებმა კომიტეტის მდივნად და თავმჯდომარედ აირჩიეს ორი კარგად ცნობილი კომუნისტი ჰორნი და ედერი.

მეორე ქარხანაში საამქროთა მამასახლისების კომიტეტმა პირველად აირჩია ერთსულოვნად კომუნისტი ტომ მიტჩელი თავის მდივნად.

ქალაქ ლუტონის ტრანსპორტისა და არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირის ავტობუსთა სექციის მდივნად აგრეთვე პირველად არჩეულია კომუნისტი ბრუენი. კომუნისტი მორტონი კვლავ აირჩიეს პროფკავშირთა ლუტონის საბჭოს მდივნად, ხოლო კიდევ სამი კომუნისტი რსენდელი, ო კონორი და რიდი—არჩეულ იქნენ აღმასრულებელ კომიტეტში.

ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობა განიხილავს დროებითი კონსტიტუციის პროექტს

ფხენიანი, 29 თებერვალი. (საკდესი). ჩრდილოეთ კორეის სახალხო კრების მეოთხე სესიის დადგენილების შესაბამისად 11 თებერვალს აქ საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა კორეის დროებითი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც სახალხო კრების საკონსტიტუციო კომისიამ მოამზადა.

კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებამ ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობაში უდიდესი პოლიტიკური აღფრთოვანება გამოიწვია. ბევრ ქალაქსა და სოფელში გაიმართა მასობრივი მიტინგები, რომლებზეც მოსახლეობა მხურვალედ მიესალმებოდა კონსტიტუციის პროექტს, როგორც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტს, რომელიც საკანონმდებლო წესით განამტკიცებს ჩრდილოეთ კორეაში განხორციელებულ დემოკრატიულ გარდაქმნებს და აჩქარებს ერთიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული კორეის შექმნას. კონსტიტუციის პროექტის მხარდაჭერის შესახებ განცხადებებით გამოვიდნენ ჩრდილოეთ კორეის ყველა პოლიტიკური პარტიები და დემოკრატიული ორგანიზაციები.

ამჟამად ჩრდილოეთ კორეაში ყველგან იმართება მუშა-მოსამსახურეების, გლეხების, ინტელიგენციის, ვაჭრებისა და მოსახლეობის სხვა ფენების კრებები, რომლებზეც სწარმოებს კონსტიტუციის პროექტის შესწავლა და განხილვა. კონსტიტუციის პროექტის განხილვა სწარმოებს პრესის ფურცლებზეც.

საკონსტიტუციო კომისიას ათასობით მოსდის სხვადასხვა კრებების რეზოლუციები და ცალკე პირთა წერილები, რომლებიც იწონებენ კონსტიტუციის პროექტს. მთელი რიგი წერილები შეიცავენ წინადადებებსა და შესწორებებს, რომლებსაც საკონსტიტუციო კომისია ამჟამად სწავლობს.

კონსტიტუციის პროექტის განხილვის მსვლელობა მოწმობს კორეელი ხალხის მაღალ პოლიტიკურ აქტივობას და მის მისწრაფებას ერთიანობისა და დემოკრატიისაკენ.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვასილ გაბრიელის-ძე ჟავორონკოვი დანიშნა სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ა. ვ. ლიუბიმოვი სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან მისი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

დიდი რუსი კრიტიკოსის ბ. გ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

რესპუბლიკურმა საიუბილეო კომიტეტმა თავის პირველ სხდომაზე შეიმუშავა ღონისძიებანი დიდი რუსი კრიტიკოსის, რევოლუციონერ-დემოკრატის ბ. გ. ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

საიუბილეო დღეებში შესდგება საზეიმო საღამო, მიძღვნილი ბ. გ. ბელინსკის ხსოვნისადმი. განზრახულია ბ. გ. ბელინსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები ჩატარდეს თბილისში მწერალთა კლუბში, მასწავლებლის სახლში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საჯარო ბიბლიოთეკაში, კულტურის სახლებსა და კლუბებში, თეატრალურ საზოგადოებაში, პიონერთა სასახლეში და სკოლებში. საღამოები მოეწყობა აგრეთვე სარაიონო ცენტრებსა და მსხვილ ქალაქებში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კომიტეტს, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას დავალებული აქვთ შეარჩიონ სათანადო მომხსენებლები და გაგზავნონ ადგილებზე. რესპუბლიკის კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებსა და კლუბებში მოეწყობა ბ. გ. ბელინსკის თხზულებათა და ბელინსკის შესახებ არსებული ლიტერატურის გამოფენები.

საიუბილეო დღეებში ჩატარდება სამეცნიერო სესიები მიძღვნილი ბ. გ. ბელინსკისადმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

განზრახულია ბ. გ. ბელინსკის რჩეულ ლიტერატურულ-კრიტიკულ, პედაგოგიურ თხზულებათა, „წერილის გოგოლისადმი“, ბელინსკისადმი მიძღვნილი მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევისა და წერილების კრებულის გამოცემა ქართულ ენაზე.

ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობა

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებულის სამმართველომ საქართველოში დაიწყო მთელი რიგი ახალი საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობა. ამ სადგურებიდან უკვე დამთავრებული და ამუშავებულია გორის, ბორჯომისა და წყალტუბოს სადგურები.

28 თებერვალს სპეციალურმა კომისიამ ფრიადზე შეფასებით მიიღო გორის ავტომატური სატელეფონო სადგურის ყველა ნაგებობანი და ყველა აბონენტი ჩართულ იქნა ქსელში. ჯერჯერობით გორის ახალი სატელეფონო სადგური მომსახურებას უწევს 500 აბონენტს.

ბორჯომის ავტომატური სატელეფონო სადგური გაანგარიშებულია 300 სააბონენტო ნომრისათვის. ეს სადგური მიღებულ და ამუშავებულ იქნა 1 მარტს.

წარმატებით გრძელდება ავტომატური სატელეფონო სადგურის მშენებლობა და მოწყობა გაგრაში, სადაც ქსელში ჩართულ იქნება 450 სააბონენტო ნომერი. ამ სადგურის მშენებლობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ბოლომდე.

ბორჯომის, გორისა და წყალტუბოს ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობა და მოწყობა 1.622.000 მანეთი დაჯდა. აქედან მარტო გორის ატს-ის მშენებლობას და მოწყობას მოხმარდა 1.156.000 მანეთი.

ოპერისა და ბალეტის თეატრის ახალი დადგმები

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარში განახორციელებს მთელ რიგ ახალ დადგმებს.

თეატრის კოლექტივი ამჟამად ამზადებს პუჩინის ოპერას „ტოსკას“. სპექტაკლს სდგამს სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. წუწუნავა, მხატვრულად აფორმებს ი. კარსილიანი, დირიჟორობს არიან სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აზმაიფარაშვილი და ვ. ფალიაშვილი. პრემიერა განზრახულია 11 მარტისათვის.

აპრილის შუა რიცხვებისათვის ახალი დადგმით ნაჩვენები იქნება პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინი“. სპექტაკლს დასდგამს მოსკოვის დიდი თეატრის რეჟისორი ტ. შარაშიძე, მხატვრულად აფორმებს ვ. შუხაევი, დირიჟორები არიან შ. აზმაიფარაშვილი და ვ. ფალიაშვილი.

თეატრი ახალი დადგმით მაყურებელს უჩვენებს აგრეთვე ვერდის ოპერას „ტრავიატას“. სპექტაკლს სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. კვალიაშვილი, მხატვრულად აფორმებს ვ. შუხაევი, დირიჟორები შ. აზმაიფარაშვილი და მ. ბორჩხაძე.

სპექტაკლის დადგმა განზრახულია მაისის ბოლოსათვის.

აღდგენილ იქნება ზოგიერთი ოპერა და საბალეტო სპექტაკლები. მათ შორის რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „მეფის საცოლე“ (დასდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. აღსაბაძე, მხატვრულად გააფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ი. შარლემანი), ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების გული“ (დადგმა სტალინური პრემიის ლაურეატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის, მხატვრობა ი. ასკურავასი, დირიჟორები დ. მირცხულავა და ჯ. გოკიელი) და ა. კერესელიძის ოპერა „ბაში აჩუკი“ (დამდგმელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. კვალიაშვილი, მხატვარი ვ. კუკულაძე, დირიჟორები დ. მირცხულავა და ნასიძე).

ნინო ნაკაშიძის საღამო

5 მარტს საქართველოს სსრ ცენტრალური კულტურის სახლი (მისნიკოვის ქ. № 9) აწყობს ნინო ნაკაშიძის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს მწერლის 75 წლის შესრულების გამო.

მოხსენებას თემაზე „ნინო ნაკაშიძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა“ წაიკითხავს მწერალი ს. წვერავა. ლექსებს წაიკითხავენ პოეტები ალ. აბაშელი, მ. მრევლიშვილი, ვ. შუბლაძე, ი. სიხარულიძე, გ. კაჭახიძე, ქ. ბობოხიძე, ი. ნონეშვილი, ა. თევზაძე, მ. ლებანიძე, ა. აბშილავა.

საღამოს მეორე განყოფილებაში ცენტრალური კულტურის სახლთან არსებული დრამატიული წრის მიერ ნაჩვენები იქნება ნ. ნაკაშიძის პიესის „ვინ არის დამნაშავე“ პირველი მოქმედება. კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილეობით გაიმართება კონცერტი.

საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში

7 მარტს, 12 საათზე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე, საზოგადოების სხდომათა დარბაზში (ცეცხოველის ქ. № 11) აკადემიკოსი **ალ. ჯავახიშვილი** წაიკითხავს მოხსენებას: **„საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლების დაყენებისათვის მე-7 კლასში“.**

დასწრება თავისუფალია.

თ ე ა ტ რ ე ბ შ ი

5 მარტს: ოპერისა და ბალეტის—„ევგენი ონეგინი“; რუსთაველის სახელობის—„ერთი ღამის შეცდომები“; მარჯანიშვილის სახელობის—„მასკარადი“; გრიბოედოვის სახელობის—„შავი ფულები“.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

მოქალაქე **გიორგი ივანეს-ძე სადირაშვილმა**, მცხოვრებმა კალანდაძის ქ. № 12, აღძრა საქმე სამხედრო გზაზე № 38 მცხოვრებ მოქალაქე **რუსუდან პეტრეს ასულ სადირაშვილთან განქორწინების შესახებ**. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სიმონ ნიკოლოზის-ძე გრედნოვმა**, მცხოვრებმა ამიერკავკასიის ფედერაციის ქ. № 15, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნატალია კონსტანტინეს ასულ გრედნოვასთან განქორწინების შესახებ**. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

დედა ლიზა, მეუღლე თამარ, შვილები ნათელა, ლიზა იუწყებიან, რომ 6-III, 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **კოტე ივანეს-ძე შატბერაშვილის** პანაშვიდი.

დედა სოფიო, ძმები რაჟდენი, ძაღული, ვანო და მამია ზოდელავები იუწყებიან, რომ 7 მარტს დღის 3 საათზე ვაკის სასაფლაოზე შესდგება **გრიგოლ სამსონის-ძე ზოდელავას** პანაშვიდი.

შვილები აკაკი, გალინა, კონია ოჯახებით იუწყებიან **ეფრემ დავითულიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-III ს. ჰყვიშში (ამბროლაურის რ.).

მეუღლე სადა, შვილები სანდრო, დიომიდე, ნინო, ტარასი ოჯახებით, ძმა მათე ოჯახით, მამუკა სულუქაძე, ანტონ და ნატაშა ჯორბენაძეები იუწყებიან **ივანე პახუმის-ძე დონაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 მარტს, მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალში.

მშობლები ალექსანდრე, მინადორა, დები ელენე, თინა, ძმა შოთა იუწყებიან **აკაკი აბულაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-III, 7 ს. გამოსვენება 7-III, 3 ს. ნარიყალის, 11.

მეუღლე ნინო ძინძიბაძე-დოსმიშვილისა იუწყება, რომ 7-III ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ილია იოსების-ძე დოსმიშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე იოსებ, შვილები ანტონ ოჯახით, თამარ, შუშანა და რეზო იუწყებიან **ოხანა გიორგის ასულ ბერუჩოვა-ივანოვას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III დ. ჩხარში.

ეკატერინე საყვარელიძე, ირა საყვარელიძე-მღებრიშვილისა ოჯახით იუწყებიან ძმისა და ბიძის **ალექსანდრე ვლადიმერის-ძე არდიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6-III, 7 ს. გამოსვენება 7-III, 2 ს. ათარბეგოვის, 43-ბ (ვაკე).

მეუღლე პასიკო, შვილები ალიოშა, ნინო, ნადეჟდა, ვენერა, ქსენია, გოგონა, შუშანა ოჯახებით იუწყებიან **პლატონ ტურაბელიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 7-III სოფ. რიონში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის —3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უე 00025